ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ვერაზე გოგი რატიანი მოკლეს
გვ.7

„კოჩო გოგიას“ მკვლელობის მოტივად შურისძიება იკვეთება



**8 მარტიდან**
60 ამბავი
**უცხოეთში დაკარგული ქართველები**



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ორშაბათი, 12 მარტი, 2018 №59 (7604) ფასი: 50 თეთრი

# „ეს იყო პრემიერის ბედის სიმღერა“



„კვირიკაშვილი ერთ-ერთ ბიზნესჯგუფს ლობირებს და მისი დახმარებით ცდილობს პოლიტიკაში დარჩენას“

გიგლა ბარამიძე: „ჩვენ კარგად ვიცით, ვისთან თანამშრომლობს კახა კალაძე“



გვ.4





## სანდრო ბრეგაძე: „ირაკლი ღარიბაშვილი ჩვენს გუნდში არ არის“
გვ.2

„ივანიშვილმაც რომ წამოაყენოს, ლიბერასტ საპრეზიდენტო კანდიდატს ყველანაირად ხელს შევუშლით“



## სოსო ცინცაძე: „ყველაზე კარგი პრეზიდენტი ვახტანგ ხმალაძე იქნებოდა“
გვ.2

„დეპუტატები უპატრონოდ დარჩენილ სამურაებს ჰგვანან“

**სამართალი** გვ.6

### „ზვიად გამსახურდიას პირად მცველს ცოტნე გამსახურდიამ 3 ტყვია ესროლა“





რას პასუხობს ცოტნე გამსახურდია ბაჩუკი გვანცელაძეს



### ბორის კაკუბავა ხორავაზე მომხდარ მკვლელობაზე ალაპარაკდა — „ჩემს მეცხრეკლასელ შვილიშვილზე უფროსკლასელები ძალადობდნენ“

### ბათუმში ზღვამ ახალშობილის ცხედარი გამორიყა



### „გავიგუდე, ყელში ნუ მიჭერ!“

პოლიციელებმა თელავში 25 წლის გიორგი ქიტოშვილი დააკავეს

### „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის ხელყუმბარა სხვა საქმეშიც ფიგურირებს“
გვ.7



### ბათუმში კორპუსიდან გადმოვარდნილი ბავშვი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული



ISSN 1987-9385

3 ზვიად კუპრავა: „საიდუმლო მოწმე ითხოვს, რომ პროკურატურამ დააკავოს“

8 განახლდება თუ არა ომი მთიან ყარაბაღში?

3 მამუკა ტუსკაძე: „თიანეთში ბევრ ადამიანს შეღავათები უკანონოდ მოუხსნეს“

5 სანდრო ბერიძე: „ბათუმში ახალი დიდი მეჩეთის აშენების საჭიროება არ არსებობს“

# სანდრო ბრეგაძე: „ირაკლი ღარიბაშვილი ჩვენს გუნდში არ არის“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, ქართული მარშის წევრები შაბათს მთელი დღის განმავლობაში ცსკ-ოს სხდომას ესწრებოდით. რა განაცხადი შეიტანეთ ცსკ-ოში?***

– ქართულმა მარშმა და საინიციატივო ჯგუფმა შეიტანა რეფერენდუმის შესახებ მოთხოვნა. რეფერენდუმი ეხება სამ საკითხს: პირველი – საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღდგეს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, მეორე – შეწყდეს და აიკრძალოს უცხოეთიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება და მესამე – განისაზღვროს მაქსიმალური საბანკო პროცენტი.

***– რამდენით განისაზღვროს?***

– ეს მაქსიმალური ზღვარი უნდა იყოს წლიური 8%, რადგანაც, რასაც დღეს ბანკები ჩადიან, ყაჩაღობაა! დაზუსტება მოგვთხოვა ცსკ-ომ. ჩვენ დავაზუსტეთ, იურიდიულად გავმართეთ და რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი გაცნობებენ პასუხს იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება და ჩვენ ვფიქრობთ, ამ თემებზე აუცილებლად ჩატარდება რეფერენდუმი საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად.

***– ბოლო პერიოდია ქართული მარშის მისამართით ისმის საყვედურები, რომ თქვენ მიერ დაწყებული პატრულირება სერიოზულ დისკომფორტსა და პრობლემებს ქმნის. ამ კუთხით რა ხდება?***

– ქართველ ახალგაზრდებს შინაგან საქმეთა სამინისტრო უშლის ქუჩაში გამოსვლასა და სიარულს, მაშინ როდესაც ქვეყანა სავსეა უცხოელი კრიმინალებით, რომლებმაც წალეკეს აღმაშენებლის გამზირი, რესპუბლიკის მოედანი და მთელი თბილისი.

***– სამართალდამცავ უწყებებთან შეგექმნათ პატრულირებისას პრობლემები?***

– არა, არანაირი პრობლემები. ჩვენ ვაწარმოებთ პატრულირებას და უკვე პირველადი მონაცემები შინაგან საქმეთა მინისტრს უშუალოდ გადავუგზავნეთ იმ უკანონობებთან დაკავშირებით, რომლებიც ხდება და მოვთხოვეთ რეაგირება.

***– კონკრეტულად რას აკეთებს ქართული მარში პატრულირების დროს?***

– ეს არის ერთგვარი მონიტორინგი, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს. დღეს თბილისის ქუჩებში ვხვდებით ტრეფიკინგს, ნარკოტიკებით ვაჭრობას, გარყვნილების ბუდეებსა და ათას საშინელებას. ამ ინფორმაციებს ვაწვდით შინაგან საქმეთა სამინისტროს.

***– თუ იყო რეაგირება?***

– ორიოდე დღეა, რაც მონაცემები გადავუგზავნეთ და ველოდებით რეაგირებას. თუ არ იქნება რეაგირება, მაშინ არსებობს სხვა მეთოდები და ხერხები, რომლებითაც ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს, მოხდეს რეაგირება. თუ არ მოხდება რეაგირება, ეს ნიშნავს იმას, რომ სწორედ ისინი არიან ამ ყველაფრის მფარველები. ჩვენ არავის არაფერს ვაპატიებთ.

***– ბატონო სანდრო, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეთ სტატუსი, რომ გეიაღლუმისთვის მიმდინარეობს სერიოზული მზადება და ამას არ დაუშვებთ. ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია ან რას აპირებთ?***

– 17 მაისს აპირებენ გეიაღლუმის გამართვას. ერთგვარი პრელუდია ამისა იყო რამდენიმე დღის წინ ტრანსგენდერების მიერ გამართული აქცია იუსტიციის სახლთან. ამ საქმეში აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკური ძალები.

## „ივანიშვილმაც რომ წამოაყენოს, ლიბერასტ საპრეზიდენტო კანდიდატს ყველანაირად ხელს შევუშლით“



***– კერძოდ?***

– ბოკერიას ფრთა და „ქართული ოცნების“ ე.წ. სოროსისტული ნაწილი – ჩუგოშვილი, ზარდიაშვილი, მდინარაძე, ეს მთლიანი ჭუჭყი, რომელიც არსებობს ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში. ამ პროცესში ჩართულია რამდენიმე ქვეყნის საელჩო და კონკრეტულად ელჩი, რომლებიც ამ ტრანსგენდერებთან და ჰომოსექსუალებთან ერთად ქუჩაში გამოსვლას აპირებენ.

***– რომელი ქვეყნის ელჩებზე საუბრობთ?***

– ამას ამ ეტაპზე არ აქვს მნიშვნელობა. მე არავის ვურჩევდი საქართველოს საქმეებში უხეშ ჩარევას.

***– თუკი დაიგეგმა ამ აქციის ჩატარება, როგორ აპირებთ ხელის შეშლას?***

– ეს აქცია არ ჩატარდება. ქართული მარში ამას თავს შეაკლავს.

***– ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ თქვენი კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებზე ირაკლი ღარიბაშვილი იქნება. რამდენად მიდასტურებთ ამ ინფორმაციას?***

– ამ ინფორმაციას ვერანაირად ვერ დავადასტურებ, იმიტომ რომ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი უკვე დიდი ხანია პოლიტიკაში არ ერევა. არ დავმალავ, რომ ირაკლი ღარიბაშვილთან მაკავშირებს მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ, მეგობრული ურთიერთობის გარდა, ჩვენი ურთიერთობა არაფერს გასცდენია.

***– არ მოიაზრება თქვენს გუნდში? ამბობენ, რომ ის კულისებში აქტიურად თამაშობს.***

– მე შემიძლია ასე გიპასუხოთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად აკლია ქართულ პოლიტიკურ სპექტრს. თუმცა ირაკლი ღარიბაშვილს არ აქვს სურვილი იმისა, რომ მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

***– ანუ კატეგორიულად უარყოფთ ამ ინფორმაციას?***

– ჯერჯერობით ამ თემაზე არანაირი საუბარი არ ყოფილა. მომავალში რა იქნება, ამას ვერავინ იტყვის.

***– აპირებთ საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი კანდიდატის დასახელებას?***

– ვნახოთ, ყველაფერი დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც ქვეყანაში იქნება. მე არც არაფერს გამოვრიცხავ და არც არაფერს უარვყოფ. ჩვენი მიზანი იქნება, რომ ლიბერასტი პრეზიდენტი არ გვყავდეს. ლიბერასტი და სოროსელი საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდება! ამ ჭუჭყს საქართველოდან საბოლოოდ განვდევნით.

***– თუკი მსგავსი კანდიდატურა ივანიშვილის მიერ იქნა შერჩეული, ამას ხელს როგორ შეუშლით?***

– ვინც არ უნდა წამოაყენოს კანდიდატურა, თუ ეს იქნება ლიბერასტი და სოროსელი, ყველს შევუშლით ხელს, ვისი კანდიდატურაც არ უნდა იყოს ის.

# სოსო ცინცაძე: „ყველაზე კარგი პრეზიდენტი ვახტანგ ხმალაძე იქნებოდა“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, „ქართულმა ოცნებამ“ აქამდე საპრეზიდენტო კანდიდატი რომ არ დაასახელა, თუნდაც არაოფიციალურად რომ არ გახმაურდა, ეს რაზე მიანიშნებს?***

– ვერ შეურჩევიათ. ეტყობა, ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ბოლო დროს ქალი კანდიდატის შესახებ გავრცელებული ხმები, ვგულისხმობ თეა წულუკიანისა და სალომე ზურაბიშვილის შესახებ გავრცელებულ ხმებს, არა მგონია, რეალური იყოს.

***– თავის დროზე სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობა უნდოდა.***

– მე არა მგონია, მისი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, ის მისაღები კანდიდატი იყოს ივანიშვილისთვის.

არ გამოვრიცხავ, რომ გუნდის შიგნით რამდენიმე გვარი განიხილება და დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა. ამ ბრძოლას შორიდან ადევნებს თვალყურს ივანიშვილი ისე, რომ არც აინტერესებს. პარლამენტის წევრები დღეს უპატრონოდ დარჩენილ სამურაებს ჰგვანან.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით, მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს უფრო საპენსიო ასაკის, დაღვინებული, გაწონასწორებული, არაექსტრემისტი, რომელიც თავის ქვეყანას მის საზღვრებს გარეთ ღირსეულად წარმოადგენს.

ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ვახტანგ ხმალაძე. ეს ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნებოდა. თუ გახსოვთ, ივანიშვილი სანამ მარგველაშვილს დაასახელებდა კანდიდატად, ვახტანგ ხმალაძეზე ამბობდა, კარგი პრეზიდენტი იქნებაო. დღეს, ამ კონსტიტუციით, მართლაც ვეთანხმები, რომ ხმალაძე შესაფერისი პრეზიდენტი იქნებოდა.

***– ბატონო სოსო, ეს თქვენი მოსაზრებაა თუ რამე ინფორმაცია გაქვთ?***

– არა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა. არა მგონია, დღეს ვახტანგ ხმალაძეს ივანიშვილმა რეკომენდაცია გაუწიოს. ივანიშვილმა სადავეები ცოტა მიუშვა და პარლამენტის უმრავლესობაში უკვე გამოჩნდნენ დისიდენტები.

## „დეპუტატები უპატრონოდ დარჩენილ სამურაებს ჰგვანან“



***– მაგალითად?***

– თუნდაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონპროექტი რომ გადიოდა, ეს აშკარად გამოჩნდა. ასევე, ეს გამოჩნდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ეს ხალხი ფიქრობს, რომ უკვე შეიძლება ისე მოქცევა, როგორც თავად ფიქრობენ და არა – დირექტივების შესაბამისად. ამას ვერასდროს გაბედავდნენ, რომ მოდიოდეს დირექტივები, მაგრამ აშკარაა, რომ ივანიშვილს მობეზრდა და ეს ხალხი მიუშვა. ეს უკვე ბევრ რამეს ეტყობა. მერწმუნეთ, დირექტივები რომ მოდიოდეს, დისიდენტობას ვერავინ გაბედავდა.

***– რატომ მობეზრდა?***

– მმართველობის პირველმა ეშხმა გადაიარა. ის წარმატებები, რომლებიც პირველ ხანებში იყო, რაც მის სახელს უკავშირდებოდა, მოსწონდა. ყველა ადამიანს მოსწონს ეს. როდესაც ყველაფერს მიაღწია, რაც თავიდან დაისახა მიზნად, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას არჩევნების გზით დაამარცხებდა, რომ ახალ მთავრობას დააკომპლექტებდა – ყველაფერი გააკეთა და ახლა მისთვის არ არის საინტერესო. მას სხვა ინტერესები აქვს, თანაც ივანიშვილი ჭკვიანი ადამიანია და ხომ ხედავს, რა ხალხთან აქვს საქმე. ჩვენი პარლამენტის 90%-ს 2 წიგნი არ ექნება წაკითხული.

***– საბოლოოდ თქვა უარი პოლიტიკაში დაბრუნებაზე?***

– დიახ, ასეა. მე მგონია, რომ უფრო ამ რეჟიმში დარჩება. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, ის არ არის კმაყოფილი იმით, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერზე, ცუდზეც და კარგზეც, მას მოეთხოვოს პასუხი, არადა, ასეა. გამოკითხვა რომ ჩატარდეს, 10 მოქალაქიდან მინიმუმ 8 გიპასუხებთ, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელი ივანიშვილია.

ალბათ გვიან გაზაფხულზე „ქართული ოცნება“ კანდიდატს დაასახელებს და ამ კანდიდატის ვინაობით გავიგებთ, რეალურად აინტერესებს თუ არა „ქართული ოცნების“ მომავალი პოლიტიკური ბედი ივანიშვილს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზვიად კუპრავა: „საიდუმლო მოწმე ითხოვს, რომ პროკურატურამ დააკავოს“

## „სხვა შემთხვევაში ის ომბუდსმენის ოფისში აპირებს ცხოვრებას“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ არის საიდუმლო აგენტი, რომელსაც ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე ცრუ ჩვენება მიაცემინეს, ვინ შეადგინა ეს სქემა, რატომ გადაწყვიტა სიმართლის თქმა, ვინ დასდევს მოსაკლავად, რა დავალებებს ასრულებინებდნენ მას, რას ითხოვს პროკურატურისა და პრეზიდენტისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საიდუმლო აგენტ გოდერძი ჯოლოხავას ადვოკატი, სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– საიდუმლო აგენტმა გოდერძი ჯოლოხავამ გადაწყვიტა, სიმართლე თქვას და მართლმსაჯულებას ჩაჰბარდეს. ჯოლოხავა არის ადამიანი, რომელიც ცნობილ კოჭოიასთან ერთად იჯდა საკანში. 2013 წელს მასთან ციხეში შევიდა შსს-ს თანამშრომელი ლაშა მელექია. ამ ადამიანს ჯოლოხავასთან წინა ხელისუფლების დროსაც ჰქონდა ურთიერთობა. მაშინ მელექია სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტში მუშაობდა.

2013 წელს უკვე შსს-ს თანამშრომელმა მელექიამ ჯოლოხავასთან დაიწყო მოლაპარაკებები, უთხრა, რომ ახლოვდებოდა ამნისტია. საუბარია იმ ამნისტიაზე, რომელიც 2013 წელს გამოაცხადა „ქართულმა ოცნებამ“. იმის გამო, რომ ჯოლოხავა სასჯელს იხდიდა თაღლითობისთვის, მისი ამნისტირებისთვის აუცილებელი პირობა დაზარალებულის თანხმობა იყო. შსს-ს თანამშრომელმა ჯოლოხავას უთხრა, რომ ამ პრობლემას ის მოაგვარებდა და მას ციხიდან გამოიყვანდა.

ბუნებრივია, ეს რაღაცის სანაცვლოდ მოხდებოდა. პირობა ასეთი იყო – ჯოლოხავას სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ ჩვენება უნდა მიეცა, რაზეც მას ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაელაპარაკებოდნენ.

***– ჯოლოხავა დათანხმდა ამ პირობას?***

– დათანხმდა და ეს ადამიანი 2013 წლის 13 თებერვალს გამოვიდა ციხიდან. გამოსვლისთანავე მას დაუკავშირდა მელექია და მოსთხოვა, ჩვენებები მიეცა კონკრეტული პირების წინააღმდეგ. საუბარია დავით საყვარელიძეზე, ბაჩო ახალაიაზე, გიგი კალანდაძესა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებზე. ზოგიერთი მათგანის წინააღმდეგ უკვე აღძრული იყო საქმე, ზოგიერთის წინააღმდეგ იმ მომენტში იწყებდნენ გამოძიებას.

ჯოლოხავას ნათლად უთხრეს, რომ თუ პროკურატურას არ მისცემდა მათთვის სასურველ ჩვენებებს, მას ისევე შეატრიალებდნენ ციხეში, როგორც გამოიყვანეს იქიდან. ამნისტია უკან შებრუნებას არ ითვალისწინებს, მაგრამ რაღაც პროვოკაციას მოუწყობდნენ – ან იარაღს ჩაუდებდნენ, ან ნარკოტიკს. ეს ადამიანი იძულებული გახდა, ამ ულტიმატუმს დასთანხმებოდა.

მას შემდეგ, რაც მელექიამ ჯოლოხავა დაითანხმა, ის წაიყვანა და შეახვედრა ირმა ინაშვილს. ქალბატონმა ირმა ინაშვილმა, თავის მხრივ, ეს ადამიანი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს შეახვედრა. ეს შეხვედრა იუსტიციის მინისტრის კაბინეტში შედგა, სადაც დაიგეგმა, თუ ვის წინააღმდეგ და რა ჩვენებები უნდა მიეცა ჯოლოხავას, რაც შემდგომში გააკეთა კიდეც.

თეა წულუკიანმა ისიც უთხრა, რომ ის დაურეკავდა მაშინდელ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს და ჯოლოხავას მასთანაც უნდა მოეყოლა ის ზღაპარი, რომელიც მას დაუწერეს. ეს ზღაპარი კბილაშვილისთვის, როგორც ჩვენება, ისე უნდა მიეცა. ბუნებრივია, მან გამოძიებასაც მისცა ეს ჩვენება.

გოდერძი ჯოლოხავას ჩვენების საფუძველზე რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება. ამის პარალელურად, სხვადასხვა ტელევიზიით აქტიურად შუქდებოდა ამ ადამიანის პერსონა, გვიყვებოდნენ, როგორ თანამშრომლობდა ის გამოძიებასთან.

***– წულუკიანი, ინაშვილი ან კბილაშვილი ადასტურებენ სადმე, რომ მართლაც შეხვდნენ ჯოლოხავას?***

– ჯოლოხავასთან შეხვედრას მაშინ მედიასთან საუბარში ადასტურებდა როგორც წულუკიანი, ასევე ინაშვილი. მათ თქვეს, რომ ისინი შეხვდნენ მოწმეს, რომელიც გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებდა.

დავით საყვარელიძესთან დაკავშირებით მან ასეთი ჩვენება მისცა: ის გასაუბრების მიზნით ხშირად შემოდიოდა საკანში კოჭოიასთან და მისგან მუდმივად ითხოვდა ბრალის აღიარებას, რასაც კოჭოია არ აკეთებდა. ერთხელ საყვარელიძე საკანში ქალ გამომძიებელთან ერთად იყო შემოსული, კიდევ ერთხელ მოითხოვა, კოჭოიას ელიარებინა ჩადენილი დანაშაული. ის ისევ უარზე იყო. ამის გამო საყვარელიძემ მას პასტა გაუყარა ფეხში.

ფეხში პასტის გაყრაზე იმიტომ გაამახვილეს ყურადღება, რომ აყვანის სპეცოპერაციის დროს კოჭოია ფეხში დაიჭრა. ვითომ ამ ჭრილობაში უყრიდა საყვარელიძე პასტას, ამ ფორმით აწამებდა პატიმარს, რათა სასურველი ჩვენება მიეღო.

ბაჩო ახალაიას რაც შეეხება, ჯოლოხავა ამტკიცებს, რომ ის ხშირად შედიოდა მასთან ციხეში, რადგან იცოდა, რომ ის ყინწვისის საქმის მონაწილეების თანამესაკნე იყო. თურმე ბაჩო ითხოვდა, ამ საქმეში ბრალდებულებს ეღიარებინათ დანაშაული. ჯოლოხავა ჩვენებაში ამბობს, ახალაია მეუბნებოდა, სიკვდილის პირას უნდა მიიყვანო ესენი და, სანამ არ აღიარებენ, არ უნდა მოეშვაო.

თქვა ისიც, თითქოს ახალაიამ უთხრა, რომ ყინწვისის საქმის მონაწილეებს ისინიც მიიყვანდნენ სიკვდილის პირას, მაგრამ მათი მხრიდან ეს არ გამოდიოდა. ამ საქმის რომელიმე მონაწილეს თუ მოკლავდა ცემით, ვითომ ახალაია ჯოლოხავას ჰპირდებოდა, რომ ციხეში პატივში ეყოლებოდათ და გარეთაც გამოიყვანდნენ.

ასეთივე ცრუ ჩვენებები მისცა ამ ადამიანმა სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართაც, ამტკიცებდა, დავით საყვარელიძე საკანში შემოდიოდა, მაგიდაზე აწყობდა ფეხებს და იმაზე კაიფობდა, ჩვენ როგორ გვაწამებდნენო.

ამ ადამიანმა ახლა გადაწყვიტა, სიმართლე თქვას და დახმარებისთვის სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრს მომართა. ჩვენც დავინტერესდით მისი საქმით.

***– უცნაურად არ მოგეჩვენათ, რომ ამ ადამიანმა ასე უცბად მოინდომა სიმართლის თქმა, ან არის კი სიმართლე, რასაც ის ამბობს?***

– ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს და ამიტომაც მივდივართ მასთან ერთად პროკურატურაში. ჩვენ, ბუნებრივია, დავინტერესდით იმ მოტივით, თუ რატომ გადაწყვიტა მან სიმართლის თქმა. თავიდან ეს პროვოკაციაც კი მეგონა. ჯოლოხავას ვკითხე კიდევაც, თუ რა მოტივი ამოძრავებდა, რაზეც ასეთი პასუხი გამცა: მე ხომ ვიცი, რომ დანაშაული მაქვს ჩადენილი, ისეთი ჩვენებები მაქვს მიცემული, რაც ბუნებაში არ არსებობს. ახლა ამბობს, რომ არც ახალაია და არც საყვარელიძე თვალითაც კი არ ჰყავს ნანახი.

ჯოლოხავა მიიჩნევს, რომ ამ ცრუ ჩვენებებს არავინ შეარჩენს და ამის გამო ხვალ თუ ზეგ აუცილებლად მიეცემა პასუხისგებაში.

***– ფიქრობთ, რომ თავის გადარჩენას ცდილობს?***

– სწორედ ასეა. ის მართლაც თავის გადარჩენაზე ფიქრობს და ამიტომ გადაწყვიტა იმის თქმა, რაც შაბათის კურიერში თქვა და რის თქმასაც აპირებს 12 მარტს პროკურატურისთვის.

***– თავის გადარჩენას ცდილობსო და ვინ ემუქრება, ისინი, ვის წინააღმდეგაც ჩვენებები მისცა?***

– ისინი არა, მას თავს კიდევ ბევრი რამ გადახდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც თავად ამბობს, გახდა პოლიციის აგენტი და ლაშა მელექია მას სხვადასხვა დავალებას აძლევდა. ისიც ასრულებდა ამ დავალებებს, რის შედეგადაც ძალიან ბევრი მტერი გაიჩინა. ერთ-ერთმა მათგანმა ცოტა ხნის წინ ჯოლოხავა კინაღამ მოკლა. ეს ადამიანი ახლა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობს. ქოცებმა და მელექიამ დაიკიდეს და ახლა საკუთარ თავს თავად უნდა უშველოს. ამიტომაც ალაპარაკდა. 12 მარტს ის პროკურატურაში მიგვყავს ჩვენების მისაცემად.

***– თქვენ რატომ მიგყავთ, თავად ვერ წავიდოდა?***

– თავად გარეთ გამოსვლის ეშინია, ამბობს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. წინასწარ შევთანხმდით, რომ პროკურატურაში მის წასაყვანად ჩემი მანქანით დილის 7 საათზე მივაკითხავ სახლში.

***– ასე ადრიანად რატომ?***

– ეს არის მისი სურვილი, ამბობს, რომ სახლიდან მხოლოდ მაშინ ახერხებს გამოსვლას, როცა ქუჩაში ბევრი ხალხი არ დადის. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი და ვიღაცამ მისი გატაცება დამაბრალოს. ამიტომ წინასწარ ვამბობ, რომ 12 მარტს გოდერძი ჯოლოხავას მისი თხოვნით მივაკითხავ სახლში და წამოვიყვან პროკურატურაში. ჩემთან ერთად იქნებიან ჩვენი ორგანიზაციის სხვა წევრებიც.

ჯოლოხავა აპირებს, პროკურატურას ყველაფერი უამბოს. დიდი იმედი აქვს, რომ მას ამის გულისთვის პასუხისგებაში მისცემენ. ახლა ის ციხეში უფრო დაცული იქნება, ვიდრე გარეთ.

სხვათა შორის, ამ დღეებში მე ვესაუბრე ლაშა მელექიას და ვუთხარი, თუ რამე ფორმით შეეცდებოდა ჯოლოხავასთან დაკავშირებას, ეს ჩაითვლებოდა მასზე ზეწოლად. ეს მელექიამ გაიკვირვა და მკითხა, რა უფლებით მიკრძალავ მეგობართან კონტაქტსო.

***– რა მოხდება მაშინ, თუ პროკურატურა ჯოლოხავას არ დააკავებს?***

– თუ არ დააკავებენ, მაშინ ჩვენ ერთად წავალთ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სადაც ჯოლოხავა ასევე ისაუბრებს ყველაფერზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან უკვე გვქონდა კომუნიკაცია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წავალთ სახალხო დამცველის ოფისში. ომბუდსმენის აპარატს ამაზე უკვე ვესაუბრეთ. მოწმე იქაც დეტალურად ისაუბრებს ყველაფერზე.

გოდერძი ჯოლოხავა სახალხო დამცველის ოფისში საძილე ტომრით მოდის და იქ აპირებს ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ არ დააკავებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ის ამ ფორმით აპირებს თავის დაცვას – იცხოვრებს სახალხო დამცველის ოფისში.

ასევე გეგმაში გვაქვს შსს-ს გენინსპექციაში მისვლა, სადაც ჯოლოხავა ბევრ საინტერესო ამბავს მოყვება. ფონიჭალაში რომ ატარებენ ნარკომოვაჭრეების გამოსავლენად სპეცოპერაციას, ჯერ იმ ბარიგებს მიხედონ, შსს-ში რომ არიან. ჯოლოხავა ამბობს, რომ მას აძლევდნენ ნარკოტიკებს, რომლებსაც ის ბარიგებს გადასცემდა. გადაცემის მომენტში მოდიოდა პოლიცია და ტარდებოდა სპეცოპერაცია. ჯოლოხავას გაარიდებდნენ, გადამყიდველს კი აკავებდნენ. სხვათა შორის, ცოტა ხნის სწორედ ერთ-ერთმა ბარიგამ მოკლა კინაღამ.

გენინსპექციაში ის იმ დანაშაულზეც ისაუბრებს, რომელიც დევნილების მიმართ იქნა ჩადენილი. ჯოლოხავას შსს-ში დაავალეს, მოეძებნა დევნილები, რომლებსაც ის ბინების მიღების სანაცვლოდ 5.000 დოლარს გამოართმევდა. ეს ფული ჯოლოხავას მიჰქონდა შსს-ში გარკვეულ პირებთან. ამ თანხიდან 4.000 ისინი იტოვებდნენ, 1.000 დოლარს კი ამ ადამიანს აძლევდნენ.

დევნილები, რომლებსაც ჯოლოხავამ ეს ფული გამოსძალა, უკიდურესად გაჭირვებულები არიან და მათ ეს თანხა წვალებით მოაგროვეს. ბუნებრივია, ისინი პასუხს მოსთხოვენ ჯოლოხავას. მას დევნილებისაც ეშინია.



# მამუკა ტუსკაძე: „თიანეთში ბევრ ადამიანს შეღავათები უკანონოდ მოუხსნეს“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ თიანეთის მუნიციპალიტეტის მმართველობაში არსებულ ვითარებაზე საუბრობს.

***– ბატონო მამუკა, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც თვითმმართველობები ერთპარტიული არ არის, მონიტორინგს ახორციელებთ. როგორია შედეგები?***

– სამი თვითმმართველი რაიონია, სადაც მუნიციპალიტეტის მმართველობები ერთპარტიული არ არის. ერთია ოზურგეთი, სადაც ქალაქის მერი არის დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფიდან და საკრებულო, ფაქტობრივად, „ქართული ოცნებისაა“. მეორეა ბორჯომი, სადაც საკრებულოს შემადგენლობა ოპოზიციურია, მერი კი – ხელისუფლების წარმომადგენელი. მესამე თიანეთია, სადაც ქალაქის მერი პარტიულია. მის პარტიას „თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსათვის“ ჰქვია. სამივე შემთხვევაში საკრებულო ერთპარტიული არ არის, სხვადასხვა ფორმატია. სამივე შემთხვევაში მონიტორინგს იმიტომ ვახორციელებთ, რომ მრავალპარტიული მმართველობაა და ცენტრალურ ხელისუფლებაში უმცირესობაში მყოფი ძალები ადგილობრივი ხელისუფლების უმრავლესობაში არიან. თამაზ მეჭიაური არ არის საპარლამენტო ძალა. ბორჯომში საკრებულოს უმრავლესობაში მყოფ ძალას პარლამენტის ოპოზიციაში მყოფი ძალის გამო გარკვეული სხვა ბერკეტიც აქვს. ოზურგეთში საინიციატივო ჯგუფის მიერ არის წარდგენილი და ხელისუფლებასთან დალაგებული ურთიერთობა აქვს.

***– თიანეთში მონიტორინგის შედეგები როგორია?***

– თიანეთში თავიდანვე დაძაბული სიტუაცია იყო. თამაზ მეჭიაურმა 1 ხმით მოიგო არჩევნები სასამართლოთი. პრაქტიკულად, მარტო მივიდა მუნიციპალიტეტის მერიაში. მეჭიაური და ორი მოადგილე შეეჭიდნენ ქუცნაშვილს. პირველ ეტაპზე დებატებსა თუ სხვა სახის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი და ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. ბოლოს თამაზ მეჭიაურმა გადაწყვიტა, გადასულიყო მართვაზე, რეალურად, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები გამოეყენებინა. მეჭიაურმა შექმნა 7-კაციანი სადისციპლინო კომისია, რომელმაც შეისწავლა სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეების სადისციპლინო გადაცდომები. გადაცდომების თაობაზე გონივრული ეჭვი გაჩნდა მას შემდეგ, რაც თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სხვადასხვა თემში არ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

***– როგორ არ ასრულებდნენ?***

– კომისიის შემადგენლობაში 7 კაცი შევიდა, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები. კომისიაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა. იყვნენ მეჭიაურისა და ქუცნაშვილის მომხრეები. 7-კაციან კომისიაში აზრი გაიყო, ერთმა თავი შეიკავა. შვიდივემ გადაწყვიტა, რომ გადაცდომას ჰქონდა ადგილი. სამმა თქვა, რომ გადაცდომას ადგილი არ ჰქონდა. კომისიის თავმჯდომარის ხმა აღმოჩნდა გადამწყვეტი, რომ გადაცდომა იყო განსაკუთრებული სიმძიმის, რომელიც პირდაპირ სამსახურიდან გათავისუფლებას გულისხმობს.

***– რით გამოიხატა განსაკუთრებული სიმძიმის გადაცდომა?***

– 7-კაციანი იყო კომისია და 7 ჩინოვნიკის მიმართ მიმდინარეობდა საქმის შესწავლა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ შვიდივე პირს ჰქონდა განსაკუთრებული სიმძიმის გადაცდომა, რასაც უნდა გამოეწვია შვიდივე პირის სამსახურიდან გათავისუფლება. თუმცა, თამაზ მეჭიაურმა გამოიჩინა კეთილი ნება და სამი პირი, რომლებმაც განსაკუთრებული ზიანი მიაყენეს ბიუჯეტს, გაათავისუფლა, ოთხს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. საქმე შემდეგ ეტაპზე გადავიდა. სავარაუდოდ, მხარეები სასამართლოში გაასაჩივრებენ.

***– გადაცდომა, კერძოდ, რით გამოიხატა?***

– ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის დარღვევას – 2016 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი მთის შესახებ. იმ ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიც მთიან რეგიონებს ეკუთვნოდა, მცხოვრებ ადამიანებს მთის სტატუსი მიანიჭა. კანონი ამ სტატუსის ადამიანებისთვის პედაგოგიურ, სამედიცინო, საპენსიო, სახელფასო შე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ეს იყო პრემიერის გედის სიმღერა“

შორენა მარსაგიშვილი





„კვირიკაშვილი ერთ-ერთ ბიზნესჯგუფს ლობირებს და მისი დახმარებით ცდილობს პოლიტიკაში დარჩენას“

## გიგლა ბარამიძე: „ჩვენ კარგად ვიცით, ვისთან თანამშრომლობს კახა კალაძე“



რა გეგმები აქვს მთავრობის მეთაურს, რატომ არის არასერიოზული მისი განცხადება და რა უნდა გაეკეთებინა მას, ვისთან თანამშრომლობს კახა კალაძე, რა პრინციპით შეარჩია გუნდი ბიძინა ივანიშვილმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– საქართველოს მთავრობის მეთაურმა, გიორგი კვირიკაშვილმა, რუსეთის ხელისუფლებას დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა. მისმა ამ შეთავაზებამ ის ძალებიც კი გააღიზიანა, რომლებიც გამუდმებით ითხოვდნენ რუსეთთან დიალოგის დაწყებას. რატომ აღმოჩნდა პრემიერის ეს შეთავაზება ყველასთვის მიუღებელი?***

– სანამ პრემიერის სამარცხვინო შეთავაზებაზე ვისაუბრებდე, მინდა გავიხსენო ტროადას მეფე პრიამოსი, რომელიც მოსისხლე მტრის ბანაკში შევიდა თავისი შვილის, ჰექტორის ცხედრის გამოსატანად. მხცოვანმა პრიამოსმა თავი გადადო და პირდაპირ აქილევსის კარავში შევიდა, მას სთხოვა მის მიერ მოკლული შვილის სხეული და აქილევსმაც გამოატანა.

შე დალოცვილო, ჰომეროსი თუ არა გაქვს წაკითხული, ზვიად გამსახურდიას „ქართველი ერის სულიერი მისია“ მაინც არ გაგიგია, რომ ეს ყველაფერი გააანალიზო და ისე იმოქმედო, როგორც შენს ქვეყანას სჭირდება?!

***– გინდათ თქვათ, რომ კვირიკაშვილი მეფე პრიამოსივით უნდა შესულიყო რუსეთის ტერიტორიაზე?***

– როცა ქვეყანას სჭირდება, იქ მოწინააღმდეგესთან დიალოგი აუცილებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა გმირს გიკლავენ და მის ცხედარს არ გაძლევენ. საერთაშორისო სიმპოზიუმებზე მხოლოდ ინგლისურად, ენის მოჩლექით საუბარი პოლიტიკოსობა არ არის.

არც კვირიკაშვილი არ არის პოლიტიკოსი და მისი ბოლო განცხადება მისი გედის სიმღერაა. გედის სიმღერა იმიტომ არის, რომ ეს განცხადება იყო უილაჯობისა და უსასოობის ნათელი მაგალითი.

რუსეთთან აუცილებლად უნდა გამართულიყო დიალოგი და შეხვედრა, მაგრამ არა აგვისტოს ომის 10 წლისთავზე. 6 წელია, რაც უნიათო და უსქესო „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და მათ მოსკოვთან საუბარი ადრე უნდა დაეწყოთ.

ლაიტმოტივად ამ ყველაფერს გასდევს ის, რომ ისტორიაში პირველად შეერთებული შტატების პრეზიდენტი მზად არის, შეხვდეს ჩრდილოეთ კორეის ლიდერს. „მედასავლეთეებო“, ტრამპისგან მაინც აიღეთ მაგალითი, როგორ ხდება და რა ხდება. ამ ხმასაა აყოლილი გასაცოდავებული „ქართული ოცნება“ და მარტოდ შთენილი პრემიერი, რომელსაც გუნდი არ ჰყავს და, როცა გაუჭირდება, „კეთილების“ ამარა რჩება.

***– თუ ამბობთ, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, პრემიერის შეთავაზება რატომ მიგაჩნიათ სამარცხვინოდ?***

– იმიტომ, რომ ახლა შეხვედრა დაგვიანებულია. ამ 6 წლის განმავლობაში მოვუწოდებდით ხელისუფლებას, შეხვედროდა იმ ქვეყნის პირველ პირებს, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული. ჩვენი პოლიტიკური ძალის ლიდერი რამდენჯერმე წასული იყო მოსკოვში, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა. მას არც ეს პრემიერი და არც მისი წინამორბედები იმისთვისაც კი არ შეხვედრიან, რომ მოსკოვიდან ჩამოტანილი დანაბარები მოესმინათ.

***– რუსებმა ჩვენს ხელისუფლებასთან ნინო ბურჯანაძეს დააბარეს რამე?***

– არაერთხელ განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, რომ არის საკითხები, რომლებსაც ის მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცემდა. საუბარი იყო პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ „ოცნებამ“ არ მოისურვა მოსმენა.

ამ 6 წლის განმავლობაში რუსეთის პირველმა პირმა პუტინმა რამდენჯერმე თქვა, რომ მზადაა, შეხვდეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამაზე რა პასუხი გაეცით? ჩვენმა პრეზიდენტმა, მისტერ ვეტომ თქვა, აზრს ჩვენს დასავლელ პარტნიორებს დავეკითხებითო. პრემიერის შეთავაზებამდე რამდენიმე დღით ადრე კი პარლამენტის ვიცესპიკერი, ჩუგოშვილი, ამბობდა, რუსეთთან მოლაპარაკებები საჭირო არ არისო.

გარდა იმისა, რომ შეხვედრა დაგვიანებულია, საინტერესოა, ვინ უნდა ესაუბროს მოსკოვს. „ქართულ ოცნებას“ დიპლომატიის, ლიდერებისა და პოლიტიკოსების კუთხით აქვს იმის პოტენციალი, რომ თანაბრად ესაუბროს რუსეთის ხელისუფლებას? ვერიჩკა ქობალიას ქოლგის დამტარებელი მიხეილ ჯანელიძე ამოიღებს ხმას, კვირიკაშვილი თუ ირაკლი კობახიძე? ამათ მხოლოდ არასამთავრობოებთან შეუძლიათ საუბარი. ასევე კარგად შეუძლიათ, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოებისგან მიიღონ დავალებები.

ახლა თავად განცხადების შინაარსს შევხედოთ. ეს არის ძალიან სუსტი განცხადება, რომელიც სუსტი ლიდერის მიერ არის გაკეთებული. აქცენტები არასწორად არის გაკეთებულია და თვალშისაცემია, რომ ამ განცხადებას დაშინებული ქვეყნის ლიდერი აკეთებს. ტატუნაშვილის ცხედარს ვერ აბრუნებენ, რალაცებს ხლაფორთობენ, არაფერი გამოსდით და ისევ საპატრიარქოს მიადგნენ, ემუდარებიან, რომ უწმინდესმა თავისი ავტორიტეტით ეს საკითხი გადაწყვიტოს.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა კვირიკაშვილმა და საოცრად მორიდებული და შეშინებული განცხადება დაწერა. გედის სიმღერაა, აბა რა არის, მოწინააღმდეგეს შეთავაზებას უკეთებ და აქცენტებს სწორად ვერ აკეთებ.

***– არასწორ აქცენტად რას მიიჩნევთ?***

– ჟენევის ფორმატში აპირებს ჩართვას. ვის რად უნდა ამ ფორმატში კვირიკაშვილის ჩართვა. მას ასე უნდა დაეწერა: მოვუწოდებ რუსეთის პრეზიდენტს, პრემიერს, ნებისმიერ ადგილზე შევხვდეთ ერთმანეთს. ესაა პოლიტიკა, მაგრამ ბანკის კლერკებმა და ქოლგის დამტარებლებმა პოლიტიკის არაფერი იციან.

გარდა ამისა, რამის გასაკეთებლად არც მასშტაბი და არც ერთი ადგილი არა აქვთ. გასული წლის ნოემბერში ხელწართმეულმა და ფეხმოჭრილმა ჩატაევმა ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოგვიწყო და 24 საათის განმავლობაში მთავრობის წარმომადგენლები ერთმანეთს ემალებოდნენ – განცხადების გაკეთებას ვერ ბედავდნენ.

***– განცხადების გაკეთებას რაღა უნდოდა?***

– არ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ. შეიძლებოდა, ამ განცხადებით რამე დაშავებულიყო და ამის გამო მამარჩენალი ცუდი თვალით შეხედავდა. ამიტომაც იყვნენ ჩუმად, ახლაც ასე არიან – ხმას არავინ იღებს.

***– ერთი კვირიკაშვილმა ამოიღო ხმა და ისიც ჩაიქოლა.***

– ჩაიქოლებოდა. მისი ეს განცხადება იყო დაგვიანებული. ამორალიზმის პიკი გახლავთ ის, რომ „ქართული ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება ერთობლივად წერენ გაუგებარ განცხადებას რუსეთის მიმართულებით სანქციებთან დაკავშირებით. წერეთ და იკითხეთ, თქვენი კი არა, მოსკოვმა მსოფლიოს მიერ დაწესებული სანქციები არაფრად ჩააგდო.

ვეკითხები ხელისუფლებას, ვის რად უნდა თქვენი სანქციები და, სანქციები თუ გინდოდათ, აქამდე რატომ არ ამოიღეთ ხმა?! სანქციები თუ გინდათ, უარი უთხარით რუსულ ბიზნესს, თავად რომ შემოიყვანეთ აქ დიდი ზარზეიმით. ასევე უარი უნდა თქვათ რუსულ ბაზარზე, მაგრამ ამაზე არ მიდიხართ. მეძავი ქალებივით ხართ – მეძაობაც გინდათ და წესიერებაც. ეს ორივე ერთად არ გამოვა.

მაინტერესებს, არ რცხვენია „ქართულ ოცნებას“, იმ ძალასთან ერთად რომ წერს განცხადებას, რომელიც თავიდან ბოლომდე ქართველი ჯარისკაცების სისხლშია ამოსვრილი? ტატუნაშვილის სიცოცხლეც მაგათ კისერზეა. მათთან ერთად შედგენილი განცხადება „ქართული ოცნების“ დეგრადირების პიკია.

ნაცების, მათ მიერ გამოზრდილი და დაფეხმძიმებული არასამთავრობოების ინტერესებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ შედის. ხვალ რუსეთს ჭკუა რომ გადაუბრუნდეს და წართმეული ტერიტორიები დააბრუნოს, არასამთავრობოების დიდი ნაწილი მშიერი დარჩება. რუსეთის გინება მათ ბიზნესად აქციეს და, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება თუ მოხდა, ბოლმით გასკდებიან.

***– ისევ პრემიერის განცხადებას დავუბრუნდეთ. დიპლომატიაში ასე ხდება, რომ პირდაპირ ქვეყნის მეთაური ითხოვს დიალოგს?***

– დიპლომატიაში ასე არ არის და ამიტომაც ვთქვი, რომ ეს კვირიკაშვილის გედის სიმღერაა. ქვეყნის მეთაური მაშინ აკეთებს ასეთ განცხადებას, როცა გაგანია ომი მიდის და დიპლომატიური საფეხურების გავლისა თუ პოლიტიკური მოთელვის დრო აღარ არის. ახლა სიტუაცია სრულად გაყინულია და ასეთი განცხადება აუცილებელი არ იყო. და თუ მაინც განცხადების გაკეთება გადაწყვიტეს, ეს ან უმრავლესობის ლიდერს უნდა გაეჟღერებინა, ან საგარეო საქმეთა მინისტრს. ნიადაგი მათ უნდა მოემზადებინათ.

პრემიერმა ეს განცხადება იძულების წესით გააკეთა. „ქართული ოცნება“ სრულად გაბითურებულია. ის დღეს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას იღლიაში ჰყავს ამოდებული და ნაციონალებთან ერთად დღის წესრიგს უდგენენ.

ეს არის ბიძინა ივანიშვილის პრობლემა. არ ვიცი, წესიერი მრჩეველი არ ჰყავს, არ ვიცი, თავად სურს, გვერდით ასეთი უუნაროები ჰყავდეს. „ქართულ ოცნებაში“ ძირითადად უინიციატივო და უსახო ხალხია თავმოყრილი, მაგრამ მათ აქვთ ერთი თვისება – თანამდებობის სანაცვლოდ მზად არიან, უფროსს ყველაფერზე თავი დაუკრან. ეს ადამიანები საქართველოს ინტერესებს როგორ დაიცავენ.

ქვეყნის ინტერესების დამცველი არც კვირიკაშვილია. ეს საცოდავი განცხადებაც იმიტომ გააკეთა, იქნებ თავი გადაირჩინოს. მისი გაშვების საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და ახლა დასაყრდენს ეძებს.

***– სად ან ვისთან ეძებს დასაყრდენს?***

– ერთ-ერთ ბიზნესჯგუფთან არის დაახლოებული, რომელიც დასავლეთ საქართველოში საერთაშორისო პროექტებს ახორციელებს, უნდა, რომ ამ ბიზნესჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი როგორმე პოლიტიკაში შემოიყვანოს და მის ხარჯზე თავად გამყარდეს.

***– ვინ არის ეს პიროვნება?***

– სახელსა და გვარს ახლა არ ვიტყვი. მალე ყველაფერს ფარდას ავხდით. წვალობს კვირიკაშვილი, რომ თანამდებობა შეინარჩუნოს, მაგრამ რად უნდა ამ პოლიტიკაში დარჩენა, არ მესმის.

***– შეძლებს კვირიკაშვილი პოზიციების გამყარებას?***

– ამით ის პოზიციებს ვეღარ გაიმყარებს, მაგრამ არც ამ ამბავს გადააყოლებენ. აქ შეცდომის გამო არ მიდიან. გააჩნია, მაგის უფროსი როდის მოიცლის. კვირიკაშვილის პოლიტიკური დაისი უკვე დადგა. ახლა სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალია.

ეს ცვლილებები აქამდეც განხორციელდებოდა, მაგრამ მაქსიმალურად წელავენ, უნდათ, რომ ეს არჩევნების წინ მოხდეს. ვითომ ახალი კადრებით უნდათ ხალხის მოტყუება. ხალხი ამას აღარ დაიჯერებს. ყოველი არჩევნების წინ ვითომ ახალი გუნდი მოჰყავთ, რომელიც წინაზე უარესია.

პრემიერმა გედის სიმღერა ერთი წლის წინ დაიწყო, როცა ციანიდის სკანდალის დროს გამოვარდა და თქვა, უწმინდესის მოწამვლას აპირებდნენ და ქვეყანა საშინელებას გადაურჩაო. მას ეს სისულელე შეგნებულად ათქმევინეს.

***– ვინ ათქმევინა?***

– გარკვეულმა ძალებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და სისულელე ათქმევინეს. მათ კვირიკაშვილი გამოიყენეს.

აუცილებლად უნდა შევეხო თბილისის მერის აქტიურობას. ძალიან კარგია სელფების გადაღება, პიჯაკების ცვლა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და მიხედე ქალაქს. პიარი და ფეისბუქზე გოგოშკების ჯგუფების შექმნა ქალაქზე ზრუნვას არ ნიშნავს.

მივმართავ თბილისის მერს, გულით მიხედე ქალაქს, სანამ ყველაფერი არ მითქვამს. ჩვენ ბევრი რამე ვიცით და ბევრი გვაქვს სათქმელი. კარგია ზოგიერთ სპეციფიკურ წარმომადგენელთან ახლობლობა, მაგრამ ეს პასუხისმგებლობისგან არ გიხსნის.

***– რომელ სამსახურს გულისხმობთ?***

– მაგასაც მალე მოგახსენებთ. ძალიან კარგად ვიცით, რა ურთიერთობა აქვთ მაგათ და რაზე საუბრობენ, როცა ერთად არიან. ასე რომ, ამ რაღაცებს თავი დაანებოს და ქალაქს მიხედოს.

## იან კელი: „აშშ-ს კონტაქტი აქვს რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ცხედარი ოჯახს“



– აშშ-ს კონტაქტი აქვს რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ცხედარი ოჯახს. არ არსებობს არანაირი მიზეზი, რის გამოც შესაძლოა, ცხედარი გააჩერონ და არ დაუბრუნონ მშობლებს, – ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ ტატუნაშვილის საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

– ჩვენ არ ვაღიარებთ ახალ საზღვრებს და არ ვაღიარებთ საქართველოს ორ რეგიონს დამოუკიდებლად, ჩვენ ვუწოდეთ რუსეთს ოკუპანტი და, შესაბამისად, როდესაც ხარ ოკუპანტი, შენი წილი პასუხისმგებლობა გაკისრია. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ არსებობს არანაირი მიზეზი, რის გამოც შესაძლოა, ცხედარი გააჩერონ და არ დაუბრუნონ თავიანთ მშობლებს. ჩვენ საქართველოს მთავრობას მხარს ვუჭერთ მის ყველა ძალისხმევაში, გადაჭრას ეს საკითხი. უკვე შედგა საუბარი სახელმწიფო მდივნის მოადგილეს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის, სადაც ხაზი გაესვა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას საქართველოსადმი, – განაცხადა კელიმ.

მისი თქმით, აშშ-ს კონტაქტი აქვს რუსეთის ხელისუფლებასთან, რათა დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ცხედარი ოჯახს.

# სანდრო ბერიძე: „ბათუმში ახალი დიდი მეჩეთის აშენების საჭიროება არ არსებობს“

ბათუმში აზიზიეს დიდი მეჩეთის აშენებისთვის მუსლიმანთა კავშირი ისევ იბრძვის, ოღონდ ახლა საქმე სასამართლოში განიხილება.

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორმა, პოეტმა სანდრო ბერიძემ, ფეისბუქზე პოსტი გამოაქვეყნა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების წინააღმდეგია. მისი თქმით, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა ქართულ ცნობიერებაზე დარტყმა იქნება.

– არ ვიცი, რა შეთანხმება არსებობს მუსლიმ მრევლსა და აჭარის ხელისუფალს შორის ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების თაობაზე, მაგრამ ვიცი, რომ ქალაქ ბათუმში და საერთოდ აჭარაში, სადაც 200-ზე მეტი ჯამე, მედრესე თუ სხვადასხვა სახის მუსლიმური სალოცავ-სასწავლებელი მოქმედებს, ახალი ჯამე აღარ უნდა აშენდეს. ახალი, თანამედროვე ჯამეს აშენება იქნება ქართული ცნობიერების რღვევის ცენტრი აჭარაში, – აცხადებს სანდრო ბერიძე.

„ახალი თაობა“ პოეტ სანდრო ბერიძეს დაუკავშირდა.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო სანდრო, მართლა არსებობს რამე შეთანხმება მეჩეთის აშენების თაობაზე?***

– აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკითხი გადაწყვეტილია, არ დაუკონკრეტებია, როგორაა გადაწყვეტილი. მუსლიმთა კავშირი ძალიან გააქტიურებულია, ამიტომაც დავწერე პოსტი. არ ვიცი, რა შეთანხმება შედგა. დანარჩენზე მათ მაგივრად ვერაფერს გიპასუხებ.

***– მუსლიმთა კავშირს მეჩეთის აშენებაზე მერიამ უარი უთხრა. საქმემ სასამართლოში გადაინაცვლა. თქვენ ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების წინააღმდეგი ხართ. რა არგუმენტები გაქვთ, ბათუმში ახალი მეჩეთი რატომ არ უნდა აშენდეს?***

– ჩვენ უძველესი ძირძველი ქართული კუთხე ვიყავით. აქედან შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა. ქრისტიანობის პირველი ნაბიჯები აჭარიდან გადაიდგა. ჩვენ მივეცით საქართველოს ქრისტეს მადლი, ანდრია პირველწოდებული და მატათა მოციქულები აქედან შემოვიდნენ. პირველი ეკლესია აჭარაში, ხულოში აშენდა. შემდეგ ისტორიულმა ბედუკულმართობამ აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში მოსწყვიტა დედა საქართველოს, მაგრამ ისევ დაუბრუნდა თავის ფესვებს. ჩვენ ძალით თავსმოხვეული სარწმუნოებიდან ისევ ქრისტიანულ სარწმუნოებას დავუბრუნდით.

მუსლიმანებს არ ვერჩი. მე დიდი ხოჯის ბადიში ვარ. ბაბუა მედინაში იყო ნასწავლი და 37-იან წლებში დახვრიტეს. მუსლიმანურ სარწმუნოებას არ ვებრძვი. ვისაც სწამს, იწამოს. ჩემი ინფორმაციით, მთლიანად საქართველოში 215-მდე მეჩეთი და სხვადასხვა მუსლიმანური სასწავლებელია.

***– მე ვიცოდი, რომ მეტი იყო, ასე, 400-მდე.***

– 2018 წლის მონაცემებით, მხოლოდ აჭარაში 189 მეჩეთია. ზემო აჭარის თითქმის ყველა სოფელში მეჩეთი აშენდა.

***– ეს მეჩეთები სწორედ დამოუკიდებლობის წლებში აშენდა.***

– დიახ. ჩვენი მუხთალი, დაულაგებელი ცხოვრება, სოციალური სიდუხჭირე მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებმა გამოიყენეს. ბავშვს საჭმელი რომ არ აქვს, უთხრეს, ჩვენ წავიყვანთ მუსლიმანურ ქვეყანაში, ჭამაც უფასო გექნება, ჩაცმაც და სწავლაცო. ბავშვები მუსლიმანურ ქვეყნებში მიჰყავთ, უფასოდ ასწავლიან. იქ ნასწავლი ბავშვები მაღალი ქართული ცნობიერების ვერ გაიზრდებიან. ბავშვებს თავიანთ სასარგებლოდ ზრდიან. ბავშვები იმ 169 მეჩეთსა და სხვადასხვა სასწავლებლებშიც დაჰყავთ. ამ ფონზე კიდევ მეჩეთის აშენებას მოითხოვენ. ბათუმში არსებობს აზიზიეს დიდი მეჩეთი.

***– აზიზიეს მეჩეთი რომ არსებობს, კიდევ რატომ იყო აზიზიეს სახელობის მეჩეთის აშენების მოთხოვნა?***

– აზიზიეს სახელობის მეჩეთი არის, მაგრამ კიდევ უნდათ აშენება. როცა პარასკევს მუსლიმანურ მრევლს ლოცვა აქვს, ყველა მუსლიმმა თავისი სოფლის მეჩეთში რომ ილოცოს, ბათუმის მეჩეთი დაცარიელდება. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, კაცმა არ იცის, რა ამოძრავებთ (აჭარაში მოქმედ მუსლიმანთა კავშირს ვგულისხმობ), ადამიანები სოფლებიდან მანქანებით ბათუმში ჩამოჰყავთ სალოცავად, შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას ეუბნებიან, რომ მეჩეთში ადგილი არ არის და ამიტომ უნდათ ახალი, თანამედროვე ტიპის მეჩეთის აშენება, სადაც განთავსდება მუსლიმანური სასწავლებლები, რაც, ჩემი აზრით, ქართულ ცნობიერებაზე დარტყმაა. სად აქვთ აჭარაში ადამიანებს იმდენი თანხა, რომ მეჩეთის მშენებლობისთვის გამოიყენონ? მაშინ მეჩეთის ასაშენებლად ფული ქვეყნის გარედან შემოედინება, რაც სპეცსამსახურების შესასწავლია.

დღეს ბათუმში არსებული მეჩეთი პატარაა, რომ ამბობენ, მეჩეთის ეზოში ირგვლივ მაღაზიები აქვთ გახსნილი და სხვადასხვა საქონლით ვაჭრობენ. გამოათავისუფლონ და მეჩეთი ადგილზე გააფართოვონ. ისინი ჯიუტად მოითხოვენ სხვა ადგილზე ორი დიდი მეჩეთის აშენებას. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ქალაქში ახალი მეჩეთის საჭიროება არ არის.

***– უკვე არსებულ მეჩეთს თუ გააფართოებენ, იქაც ხომ შეუძლიათ მედრესეების გახსნა?***



– იქ იმხელა ტერიტორია არ არის, რომ ბაგა-ბაღები და მედრესეები ააშენონ. მათ უნდათ, იქ სასწავლებლებიც გახსნან.

***– ერთ-ერთი არასამთავრობო აცხადებს, მეჩეთის აშენებაზე უარის თქმა მუსლიმანების დისკრიმინაციააო. რა დისკრიმინაციაზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– აჭარაში ერთ ხელის დადება ადგილზე ამდენი მეჩეთია, რა დისკრიმინაციაზე შეიძლება იყოს საუბარი. მათთვის მეჩეთების აშენება არავის დაუშლია, მაგრამ ახლა შუა ქალაქში მოინდომეს მეჩეთის მშენებლობა. ქალაქს აქვს თავისი განვითარების გენგეგმა, ვისაც რა მოუნდება, იმას ხომ ვერ გააკეთებს.

***– თქვენ რამდენჯერმე გაუსვით ხაზი მეჩეთების რაოდენობას, მეც ვიცი, თუ როგორ არის გაჯერებული მეჩეთებითა და მუსლიმანური სასწავლებლებით ეს კუთხე.***

– ქალთა მუსლიმანური სასწავლებლებიც გახსნეს. კიდევ რაღა უნდათ.

***– ამის უფლება ჰქონდათ?***

– ნებართვა აქვთ თუ არა, პროექტირებულია თუ არა, ამას ადგილობრივი ხელისუფლება უნდა აქცევდეს ყურადღებას. ადამიანები რამეს თქმას ერიდებიან, სკანდალში არ გავეხვიოთო. ამასობაში სამშობლო ხელიდან გვეცლება. ხელისუფალი ვალდებულია, ამას ყურადღება მიაქციოს. თუ ამას ვინმე ხელს შეუწყობს, ხვალ და ზეგ ისეთ შედეგებს მივიღებთ, გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

***– ანუ აჭარაში პანთურქიზმის აღორძინება ხდება?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ყველას მეგობარი ვართ, სტუმრის მიღებაც ვიცით, მასპინძლობაც, მაგრამ, არა ისე, რომ ჩემს საკუთარ სახლში სტუმარი მასპინძელი გახდეს.

***– ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში მინარეთის დადგმის საკითხი განიხილეს და სახელმწიფომ უარი უთხრა მუსლიმანებს მინარეთის დადგმაზე იმ მოტივით, რომ ეს არ იყო კლასიკური მუსლიმანური ქვეყანა. ჩვენთანაც სახელმწიფომ ხომ არ უნდა შეიმუშავოს შესაბამისი ნორმები ამგვარი საკითხების დასარეგულირებლად, რომ ზღვარი დაუდოს უაზრო მშენებლობებს?***

– რა თქმა უნდა, უნდა შეიმუშაოს. ეს იქნება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ქრისტიანული ქვეყნებისთვის. ჩვენც მათ უნდა დავემსგავსოთ. 70-80 წლის ადამიანებს არავინ ერჩის, სადაც უნდათ, ილოცონ, მაგრამ ბავშვებს რას ერჩიან, ბავშვებით თამაშობენ. ბავშვები მიჰყავთ, ზრდიან მუსლიმანურ სარწმუნოებაზე, შემდეგ აბრუნებენ და თავიანთ საქმეს აკეთებინებენ. ეს უკვე დანაშაულია.

***– როცა ბავშვები მიჰყავთ უცხოეთში სასწავლებლად ან აქ მედრესეებში ასწავლიან, სახელმწიფო რას აკეთებს ამ შემთხვევაში?***

– მშობელს აქვს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, გეტყვის, შენ ვინ გკითხავსო.

***– აჭარის განათლების სამინისტრო რას აკეთებს, ამაზე ყურადღებას არ უნდა ამახვილებდეს?***

– განათლების სამინისტრო ვერ ეტყვის მშობელს, ბავშვი სტამბოლში რატომ გაუშვიო. ხალხი მიტოვებულია, უყურადღებოდაა დარჩენილი გადაშენებისკენ მიმართული ქართული სოფლები. ეს ყველაფერი გროვდება და კარგ შედეგს რომ არ მოიტანს, ცხადია. მე და ჩემნაირები არ ვართ მტრები და მუსლიმანების წინააღმდეგნი. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ქალაქ ბათუმში ახალი, თანამედროვე ტიპის მეჩეთის აშენებას. ახალი მეჩეთის არანაირი საჭიროება არ არის.

❖ ❖ ❖

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მერიის უარს რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციად აფასებს.

მუსლიმთა თემმა სარჩელი სასამართლოში 2017 წლის 13 ივნისს დაარეგისტრირა, რადგან ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვა ბათუმის მერიამ არ გასცა. 2018 წლის 20 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის თაობაზე პირველი სასამართლო სხდომა ჩატარდა. საქმეს მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე განიხილავდა.

სამართლებრივი დავის პარალელურად, მუსლიმი თემი მეჩეთის ასაშენებლად შეძენილ მიწის ნაკვეთზე რელიგიურ და სოციალურ მსახურებას აგრძელებს. მუსლიმი თემის ინტერესებს ბათუმის საქალაქო სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაციების „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისა“ და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ იურისტები იცავენ.

# მამუკა ტუსკაძე: „თიანეთში ბევრ ადამიანს შეღავათები უკანონოდ მოუხსნეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ღავათებს გულისხმობს. სხვადასხვა შეღავათი არსებობს. მთის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით კარგი კანონია.

***– ქუცნაშვილის მომზადებულია.***

– კი ბატონო, ქუცნაშვილის მომზადებულია. თუმცა, მთის კანონი მანამდეც არსებობდა მთაში მცხოვრებთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. ქუცნაშვილს ახალი არაფერი მოუგონებია, კანონს სათაური გადაარქვა და თანამედროვე რეალობას მოარგო. ეს ქუცნაშვილის დამსახურება არ არის, „ქართული ოცნების“ დამსახურებაა.

მთის კანონში პირდაპირ წერია, რომ ადამიანი 9 თვისა და მეტი ხნის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს ადგილზე, რომ მთაში მცხოვრებად ჩაითვალოს და მიიღოს შეღავათები, კონკრეტულ მთის სტატუსის მქონე სოფელში იმ შეღავათებითა და სიკეთეებით ისარგებლოს, რომელსაც კანონი აწესებს. თავიდან, ვისაც მთიან რაიონში ჩაწერა ჰქონდა, აპრიორი ყველამ მიიღო მთიან რაიონში მცხოვრების სტატუსი, მაგრამ ყოველ წელს აუცილებელი იყო მონიტორინგის ჩატარება, პირი მინიმუმ 9 თვე რაიონში ცხოვრობდა თუ არა. რეალურად, 2016 და 2017 წლებში მონიტორინგი არ ჩატარებულა. ახალი მმართველობის მოსვლის შემდეგ მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის წარმომადგენელმა მონიტორინგი ჩაატარა, მაგრამ – სრულიად უკანონოდ.

***– რას ნიშნავს უკანონოდ მონიტორინგის ჩატარება?***

– ძალიან ბევრ ადამიანს სრულიად უკანონოდ მოუხსნეს შეღავათები.

***– მეჭიაურმა ჩაატარებინა მონიტორინგი და უკანონოდ მოუხსნეს სტატუსი.***

– დიახ, მეჭიაურმა ჩაატარებინა და ზოგიერთს უკანონოდ მოუხსნეს სტატუსი.

***– ანუ ახალმა მერმაც დაუშვა შეცდომა?***

– არა, მონიტორინგი სოფლის გამგებლებმა ჩაატარეს. მათ ჰქვიათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში. თიანეთში ასეთი 12 ერთეულია. აქედან 6-ში მონიტორინგი ჩაატარეს და ორი შეცდომა დაუშვეს. ძალიან ბევრ ადამიანს უკანონოდ, არასწორად მოუხსნეს დახმარება. ძალიან ბევრ ადამიანს, პირიქით, არ მოუხსნეს, მაგრამ უნდა მოეხსნათ ის დახმარებები და სიკეთეები, რომლებსაც მათ მთის კანონი აძლევს (საპენსიო, სახელფასო თუ სოციალური სიკეთეები).

***– რატომ არ უნდა მოხსნოდათ?***

– როცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მონიტორინგს ატარებს, კანონში წერია, რომ 100-კაციან სოფელში მინიმუმ 25 ოჯახში ორჯერ უნდა მივიდეს და ოჯახი აღრიცხოს, 3-4 თუ 5-სულიანი ოჯახიდან ყველა ადგილზე ცხოვრობს თუ არა. 100-კომლიან სოფელში გამორიცხვის მეთოდით უნდა ნახოს 25%. მონიტორინგის ჩამტარებელი გამგებლები 25% ოჯახში ნამყოფი არ არიან. ჩვენ გვაქვს რეალობა, რომ თიანეთში, მთის კანონის შესაბამისად, დღესაც ვიღაცები დახმარებებს იღებენ, მაგრამ 9 თვეზე მეტია, იქ არ ცხოვრობენ, თბილისში და სხვაგან ცხოვრობენ, მაგრამ დახმარებას მაინც იღებენ. ამის მტკიცებულება არსებობს. მაგალითად, გლდანის მუნიციპალიტეტის სოციალურმა სამსახურებმა გაუგზავნეს წერილი, ესა და ეს ადამიანი ბაზებში თქვენთან არის აღრიცხული, სინამდვილეში გლდანში ცხოვრობსო, ანუ ადამიანი 9 თვეზე მეტ დროს თბილისში ატარებს, თიანეთში კი შეღავათებით სარგებლობს.

***– ე.ი. ხარვეზი ელექტრონული აღრიცხვის სისტემამ აღმოაჩინა.***

– დიახ, ელექტრონულმა აღრიცხვამ გამოაჩინა, რომ თიანეთში „ცხოვრობენ“ ადამიანები, რომლებიც მთის სტატუსით სარგებლობენ და სინამდვილეში თიანეთში არ ცხოვრობენ. არის მეორე დარღვევა – ისეთებს მოუხსნეს სტატუსი, რომლებიც 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ თიანეთში, მაგრამ, ერთხელ როცა გამგებელი მივიდა, სახლში არ დახვდა, უბრალოდ, ბაზარში სავაჭროდ იყო წასული.

***– სოფლის გამგებლები საკუთარი შეხედულებისამებრ მოიქცნენ?***

– სოფლის რწმუნებულები თავიანთი პოლიტიკური შეხედულებისამებრ მოიქცნენ. სოფლის რწმუნებულებმა და მათი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოეხსნათ ან არ მოეხსნათ ადამიანებისთვის მთის მცხოვრების სტატუსი. ერთ-ერთმა გამგებელმა საერთოდ მონიტორინგიც კი არ ჩაატარა, აქტი, ოქმი არ შეადგინა და სტატუსი ისე მოუხსნა. მათ შორის, 15 პირისთვის სტატუსი არ უნდა მოეხსნა. პირიქით, ვისთვისაც უნდა მოეხსნა (ანუ 9 თვის განმავლობაში იქ არ ცხოვრობდა), იმას არ მოუხსნა. მან კომისიაზე მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, კომისიამ დადო დასკვნა, რომ მათ ჰქონდათ განსაკუთრებული სიმძიმის სამსახურებრივი გადაცდომა. თუმცა, მეჭიაურმა სამი მათგანი მოხსნა, 4 კი დატოვა. ეს არის მეჭიაურის კეთილი ნება, რაც მას შეიძლება ცუდად დაუბრუნდეს.



# „ზვიად გამსახურდიას პირად მცველს ცოტნე გამსახურდიამ 3 ტყვია ესროლა“

ზვიად გამსახურდიას პირადი მცველის თქმით, მას ცოტნე გამსახურდიამ სამი ტყვია ესროლა. პირველი პრეზიდენტის სიკვდილიდან 24 წლის შემდეგ მისი პირადი მცველი კურიერთან აქამდე უთქმელ გარემოებებზე საუბრობს.

ბაჩუკი გვანცელაძე ამტკიცებს, რომ გროზნოში პირად მცველთან სახლში მანანა არჩვაძე-გამსახურდია შვილთან ერთად მივიდა და სთხოვა, პრეზიდენტის მკვლელად მაშინდელი პრემიერი, ბესარიონ გუგუშვილი, დაესახელებინა, უარის შემდეგ კი შვილს დაავალა, რომ პირადი მცველისთვის ესროლა.

ზვიად გამსახურდიას ვაჟი ადასტურებს, რომ მამის პირად მცველს მართლაც ესროლა, თუმცა უარყოფს, რომ გვანცელაძის დაჭრის დავალება დედამ, მანანა არჩვაძე- გამსახურდიამ მისცა.

ბესარიონ გუგუშვილი კი საგამოძიებო უწყებას სთხოვს, გამოიძიონ და გაასაჯაროვონ პირველი პრეზიდენტის სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიებისას დაშვებული შეცდომები.

ბესარიონ გუგუშვილი გვარებს არ ასახელებს, თუმცა საქმის კიდევ ერთ მთავარ მოწმეს – ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსს, რობიზონ მარგველანს, კარგად ახსოვს, ვინ წავიდა ექსპერტიზის წინააღმდეგ.

სამივე მთავარი მოწმე ამტკიცებს, რომ ექსპერტიზისა და გამოძიების ჩატარების შემთხვევაში პასუხგაუცემელი კითხვები აღარ დარჩებოდა.

გამსახურდიას პირადი მცველი, რობიზონ მარგველანი, იხსენებს, რომ მინიშნება გროზნოში შესაძლო მოწამვლის შესახებ სიკვდილამდე მას პრეზიდენტმა თავად მიანიშნა.

პრეზიდენტის პირადი მცველი ამტკიცებს, რომ გამსახურდიას მთავარი შეცდომა გროზნოდან საქართველოში დაბრუნება იყო. მარგველანი ამბობს, რომ პრეზიდენტს ეს გადაწყვეტილება მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ და გურამ აბსნაძემ მიაღებინეს.





## რას პასუხობს ცოტნე გამსახურდია ბაჩუკი გვანცელაძეს

პრეზიდენტის მოტყუებით ჩამოყვანასა და ღალატში მისი უახლოესი გარემოცვა სწორედ ზვიად გამსახურდიას მთავრობის ფინანსთა მინისტრს, გურამ აბსნაძეს, ადანაშაულებს. ასევე, ისინი საუბრობენ ლოთი ქობალიაზე, რომელსაც, წესით, პრეზიდენტის უსაფრთხოება უნდა დაეცვა.

სასამართლო სხდომას, რომელმაც პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებები უნდა დაადგინოს, საქართველო 1993 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ელოდება.

❖ ❖ ❖

რუსთავი 2-ში გასულ სიუჟეტს ცოტნე გამსახურდია ფეისბუქში ასე გამოეხმაურა:

„ნაძირალა ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც 24 წლის განმავლობაში სხვადასხვა გზით და მიზეზით გაურბის ჩვენების მიცემას ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე, დღეს მიმართავს პროკურატურას სიმართლის დადგენის მოთხოვნით და მოითხოვს გამოიძიოს, ვინ შეუშალა ხელი ექსპერტიზის ჩატარებას თურმე ედუარდ შევარდნაძის ხუნტის ეგიდით უნდა ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა. სხვათა შორის, ეს გუგუშვილი, რომელიც ფინეთშია უკვე 24 წელია, ამ ხნის განმავლობაში ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებდა იმ საბაბით, რომ ყველა ხელისუფლება 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ უკანონოა, მე პრემიერ-მინისტრი ვარ და ამათთან არ ვითანამშრომლებო. ახლა აზრი შეუცვლია.

მეორე, დაცვის წევრი ვინმე გვანცელაძე ამბობს, რომ მანანა არჩვაძე ითხოვდა მისგან მამას თანმხლები პირებისთვის ხელის დადებას, არ მინდა თვითმკვლელის ცოლი ვიყოო. გაგახსენებთ, რომ ამ წლების განმავლობაში არსად, არასდროს, არცერთ ოჯახის წევრს არ გვითქვამს, რომ ამ ყველაფერში დაცვის წევრების ან გუგუშვილის ხელი ერია. წლების განმავლობაშიც თურმე მანანა არჩვაძე უშლიდა ხელს გამოძიების ჩატარებას და ის, რომ სახელმწიფო უწყებები საქმის წარმოების ყველა ეტაპზე გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ ელემენტარულ საკითხებზეც კი, ესეც მანანა არჩვაძის და ოჯახის ბრალი ყოფილა!

„კურიერის“ ამ სრულიად არაადეკვატური და სამარცხვინო სიუჟეტის თანახმად, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებას ოჯახი პოლიტიკური სპეკულაციისათვის იყენებს. დიდი პოლიტიკური დივიდენდები მოვიპოვეთ, ვერაფერს იტყვი“.

# ბორის კაკუბავა ხორავაზე მომხდარ მკვლელობაზე ალაპარაკდა — „ჩემს მეცხრეკლასელ შვილიშვილზე უფროსკლასელები ძალადობდნენ“



51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმის მოწმეების მოსყიდვაში დადანაშაულებული ბაბუა დუმილს არღვევს. ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატმა და პოლიტიკოსმა ბორის კაკუბავამ, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძეზე ტერაქტის მოწყობის ბრალდებით გაასამართლეს, კურიერს წერილი გამოუგზავნა.

ორგვერდიან გზავნილში კაკუბავა წერს, რომ 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმის მოწმეები არ მოუსყიდავს და ეს კამპანია დაინტერესებულმა პირებმა აუგორეს.

ბორის კაკუბავას სიძე თენგიზ კალანდია ახლა გლდანის ციხეში სისხლიანი გარჩევის საქმეზე წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, გამოძიება მას დანაშაულის დაფარვას ედავება. ამავე საქმეზე ბრალი კაკუბავას ორ შვილიშვილს წაუყენეს.

პირველად კურიერის ეთერში კაკუბავა ყვება, თუ რა კონფლიქტი უძღვოდა სისხლიან გარჩევას ხორავას ქუჩაზე. მისი მტკიცებით, კონფლიქტი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, როდესაც მის მეცხრეკლასელ შვილიშვილს უფროსკლასელები სკოლაში ჩაგრავდნენ და მასზე ძალადობდნენ.

კაკუბავა ამტკიცებს, რომ კონფლიქტი სკოლის მოსწავლეებს შორის დიდხანს გრძელდებოდა, დაპირისპირების ამბავი კი სკოლის პედაგოგებს, მანდატურებსა და დირექციას გამოეპარათ. ბრალდებულების ბაბუა მომხდარზე პასუხისმგებლობას სკოლას აკისრებს.

ბორის კაკუბავას ამ ინტერვიუს წინ უძღვოდა სკანდალური ფარული აუდიოჩანაწერის გამოქვეყნება, სადაც საქმის მოწმეები ყვებიან, რომ ერთ-ერთი ფიგურანტის ბაბუა მათ მოსყიდვას ცდილობს.

ამ ჩანაწერის გასაჯაროებიდან მალევე გაზეთმა ვერსიამ დაწერა, რომ ეს ბაბუა პარლამენტის ყოფილი წევრი ბორის კაკუბავაა. კაკუბავა კი ამბობს, რომ მას ცილს სწამებენ, ორ კვირაში საქართველოში ჩამოვა და თავისი უფლებების დასაცავად სამართლებრივ ბრძოლას დაიწყებს.

**რუსთავი 2**

# „გავიგუდე, ყელში ნუ მიჭერ!“

## პოლიციელებმა თელავში 25 წლის გიორგი ქიტოშვილი დააკავეს

6 მარტს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თელავში დაუმორჩილებლობისა და შეურაცხყოფის მიზეზით 25 წლის გიორგი ქიტოშვილი დააკავეს. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ დაკავებისას მიწაზე დაგდებულ ახალგაზრდას საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ზემოდან აწვება და ყელში უჭერს, რის გამოც ახალგაზრდა პოლიციელებს რამდენჯერმე მიმართავს, რომ სუნთქვა უჭირს.

„რეგინფოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ახალგაზრდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის მიზეზით გააჩერეს. საბუთების წარდგენის შემდეგ, მძღოლმა პოლიციელებს უთხრა, რომ უსამართლოდ იყო გაჩერებული და მისი დაჯარიმების საფუძველი არ არსებობდა, რასაც სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. თვითმხილველების თქმით, პოლიციელსა და მძღოლს შორის ხმამაღალი საუბარი იყო, თუმცა მძღოლს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

ამის მიუხედავად, სამართალდამცავებმა დაუმორჩილებლობისა და შეურაცხყოფის მიზეზით მოქალაქის დაკავება დაიწყეს. ვიდეომასალის მიხედვით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მძღოლს განუმარტავს, რომ ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით არის დაკავებული.

აღნიშნული მუხლი გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების



განხორციელებას (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა), რაც გამოიწვევს 250 ლარიდან 2.000 ლარამდე დაჯარიმებას ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გიორგი ქიტოშვილის დაკავების ფაქტს გამოეხმაურა. როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, თეიმურაზ კუპატაძემ განაცხადა, დაკავების დროს სამართალდამცველებმა პროპორციული ძალა გამოიყენეს და ძალის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია.

– პატრულ-ინსპექტორები კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ და გამოიყენეს პროპორციული ძალა. მოქალაქე გიორგი ქიტოშვილი იყო მგზავრი. სამართალდამრღვევ მძღოლს არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა საპატრულო პოლიციასთან, მგზავრი გადმოვიდა და პატრულ-ინსპექტორებს ხელს უშლიდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. არაერთგზის მოწოდებას, რომ წასულიყო და დამჯდარიყო მანქანაში, არ ემორჩილებოდა პატრულ-ინსპექტორის კანონიერ მოთხოვნებს. ამის შემდეგ მათ მოახდინეს მისი დაკავება. ვნახე ვიდეოკადრები ასევე სხვა კადრებიც მაქვს ნანახი, პოლიციამ პროპორციული ძალა გამოიყენა, არანაირ გადამეტებას ადგილი არ ჰქონია, – აღნიშნა თეიმურაზ კუპატაძემ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე თელავის რაიონულ სასამართლოს 7 მარტს უნდა განეხილა, თუმცა სასამართლო სხდომა 30 მარტისთვის გადაიდო. მოსამართლე თამარ კაპანაძემ ბრალდების მხარეს კანონდარღვევის ამსახველი ვიდეომტკიცებულებების წარდგენა დაავალა.

**რეგინფო**

# მწყემსი მხარში დაჭრეს — მწყემსების ჩხუბი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში მწყემსებს შორის დაწყებული ჩხუბი ერთ-ერთი მათგანის დაჭრით დასრულდა. 43 წლის მამაკაცს თანასოფლელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობა მარჯვენა მხარის არეში მიაყენა.

დაჭრილი თბილისში, სპეციალიზებულ კლინიკაში მოათავსა.

ეჭვმიტანილმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა. ამოღებულია იარაღი.



შსს-მ გამოძიება 118-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ ნაკლებად დაზიანებას გულისხმობს.

# ბათუმში ზღვამ ახალშობილის ცხედარი გამორიყა

ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, ზღვამ ახალშობილის ცხედარი გამორიყა. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ახალშობილის ცხედარი 10 მარტს, დილით, იპოვეს.



– ბავშვი ჩვილია, ყელზე რაღაც მოჭერილი ჰქონდა. სავარაუდოდ, დამხრჩვალია და გადაგდებული, – თქვეს სასწრაფო დახმარების სამსახურში.

ადგილზე პოლიციისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები მუშაობდნენ. შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 112-ე მუხლით, რაც დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**ბათუმელები**

# ქვემო ფონიჭალაში ბმვ ნისანს დაეჯახა — დაშავდა 4 ადამიანი




რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველთა განცხადებით, თბილისიდან რუსთავის მიმართულებით მაღალი სიჩქარით მოძრავი ბმვ-ს მარკის ავტომობილი, რომელშიც 3 კაცი იმყოფებოდა, საპირისპირო მიმართულებით გადავიდა და შეეჯახა ნისან-ის მარკის ავტომობილს, რომელსაც ახალგაზრდა ქალი მართავდა.

ავტოსაგზაო შემთხვევა დაახლოებით 11 მარტს 10 საათზე მოხდა ქვემო ფონიჭალის გზის იმ მონაკვეთზე, სადაც ახლა საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს.

დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

# ბათუმში კორპუსიდან გადმოვარდნილი ბავშვი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული



ბათუმის ბულვარში მშენებარე კორპუსიდან გადმოვარდნილი 13 წლის მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ექიმების განცხადებით, იგი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

13 წლის ბიჭი დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა. მას ძირითადად თავის ტრავმები აღენიშნება.

ბავშვი მოთავსებულია კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში, მიმდინარეობს მეთვალყურეობა, მონიტორინგი და შესაბამისი მკურნალობა.

# კობა გვენეტაძე: „სესხმა მსესხებლის გადახდისუნარიანობა არ უნდა დააზიანოს“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გადაცემა „ანალიტიკაში“ განვლილი ორი წელი შეაჯამა.

***— როგორ აფასებთ განვლილ ორ წელს? რას თვლით***




***საკუთარ და გუნდის მთავარ მიღწევად და რა იყო მთავარი გამოწვევა?***

— როდესაც პარლამენტში ხდებოდა ჩემი კანდიდატურის განხილვა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე, იქ სამი საკითხი დავაყენე — ეს იყო დოლარიზაციის მაღალი დონე ქართულ ეკონომიკაში; აუცილებლობა იმისა, რომ კომუნიკაცია გაზრდილიყო, და მესამე იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება.

კიდევ ერთი საკითხი არის არასაბანკო ფინანსური სექტორის რეგულირება, რომელშიც უფრო მეტის გაკეთება გახდა საჭირო, ვიდრე ეს პირველი გამოსახედიდან ჩანდა.

2017 წელთან შედარებით დეპოზიტების დოლარიზაცია არის შემცირებული 7 პროცენტით, სესხების დოლარიზაცია არის შემცირებული 9 პროცენტით. ყველაზე მწვავე თემა არის ფიზიკური პირების სესხები და აქ დოლარიზაცია არის შემცირებული 14 პროცენტული პუნქტით და დღესდღეობით ეს არის დაახლოებით 44 პროცენტი. ანუ იმ ხალხის რაოდენობა, რომელთაც სირთულეები შეექმნათ ლარის კურის გაუფასურებასთან დაკავშირებით, ახლა 14 პროცენტით დაბალია.

რაც შეეხება კომუნიკაციას, ეროვნული ბანკი იყენებს ინფლაციის თარგეთირებას, რის შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაცია. აუცილებელია ავხსნათ, რას ვაკეთებთ და რატომ ვაკეთებთ.

მესამე მიმართულება — მომხმარებელთა უფლებების დაცვა — არის მნიშვნელოვანი. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების ამაღლება.

***— პასუხისმგებლიან დაკრედიტების ჩარჩოში რა იგულისხმება და რა შედეგს ელოდებით ამისგან?***

— როდესაც ხდება კლიენტის დაკრედიტება ანუ სესხის გაცემა, უნდა იყოს გათვალისწინებული და შესწავლილი ამ კლიენტის უნარი, რომ მოემსახუროს სესხს. ანუ სესხმა არ უნდა დააზიანოს მსესხებლის უნარი, რომ გადაიხადოს და ზოგადად მისი ფინანსური მდგომარეობა.

ერთი მხრივ, გვინდა, ფინანსური რესურსი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს და იმ ტექნოლოგიებით, რაც დღეს არსებობს, ეს საკმაოდ ადვილია. მეორეს მხრივ გვინდა, ამ ხალხს პრობლემები არ შეექმნას. სწორედ ამიტომ საჭიროა და მნიშვნელოვანი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც ევროდირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდება.

***— ელექტრონული ვალუტების რეგულირებას თუ ფიქრობთ?***

— ეს არის ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, ჩვენ ვართ ამ შემთხვევაში დაკვირვების პროცესში, თუ როგორ ასრულებენ ისინი ფულის სხვადასხვა ფუნქციას. მათთვის, ვინც ინვესტირებას აკეთებს ამ ვალუტაში, ეს საკმაოდ საშიშია იმიტომ, რომ მის ღირებულებას საკმაოდ დიდი ცვლილება ახასიათებს. ეს უნდა გაითვალისწინონ მათ, ვინც ამას აკეთებს.

რაც შეეხება სხვა რეგულაციებს, დროთა განმავლობაში ეს საჭირო იქნება და უფრო დიდი ქვეყნების ცენტრალური ბანკები ამას გააკეთებენ. ეს არის ის, რაც პრაქტიკაზე დაფუძნებით უნდა გავაკეთოთ.

# ბანკებმა 209.5 მილიონი ლარის ღირებულების ქონება დაისაკუთრეს



მიმდინარე წლის იანვარში კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 209.5 მლნ ლარი შეადგინა.

აღნიშნულის შესახებ ეროვნული ბანკის „საფინანსო სექტორის მიმოხილვაშია“ ნათქვამი.

წლიურად ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულება 49.1 მილიონი ლარით გაიზარდა. კერძოდ, 2017 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი 160.4 მილიონი ლარი იყო.

ამასთან, სებ-ის ცნობით, მიმდინარე წლის იანვრის მონაცემებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობამ 28.7 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში 22.6 მლნ ლარის ოდენობის სესხის ჩამოწერა მოხდა.

გარდა ამისა, საფინანსო სექტორის მიმოხილვის თანახმად, იანვარში 7 მლნ ლარის მოცულობის ჩამოწერილი სესხის ამოღება მოხდა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მონაცემი 4.5 მლნ ლარი იყო.

# ვერაზე გოგი რატიანი მოკლეს

## „თქვეს, რომ გვერდით ოთახში მის დისშვილს ეძინა“

გუშინ, 11 მარტს, ვერაზე მკვლელობა მოხდა.

თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტატიშვილის ქუჩაზე მოკლული მამაკაცი წარსულში მრავალგზის ნასამართლევი, კრიმინალური ავტორიტეტი გოგი ხატოევია.

მეზობლების ცნობით, გოგი ხატოევი საკუთარ სახლში მარტო ცხოვრობდა, თუმცა ღამით მასთან დისშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც ბიძის მკვლელობის შესახებ ვერ გაიგო.

— თქვეს, რომ გოგის გარდა სახლში მისი დისშვილიც იყო. დისშვილს ეძინა გვერდით ოთახში, მაგრამ შემთხვევის შესახებ ვერაფერი გაიგო. სავარაუდოდ, მაყუჩიანი იარაღიდან ესროლეს, რადგან არც მეზობლებს გაუგიათ იარაღიდან გასროლის ხმა. ამ ამბავს წარსულთან რაიმე შეხება რომ ჰქონდეს, არ გამოვრიცხავ, თუმცა ის ბოლო პერიოდში ძალიან მშვიდად და წყნარად ცხოვრობდა. მთელი ცხოვრება ამ სახლში ცხოვრობს. ბოლო წლებში არაფერი შემთხვევია და არც გაგვიგია, რომ მას ვინმე მტრობდა, — განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა.

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვერაზე ტატიშვილის 26 ნომერთან მოკლული 60 წლის მამაკაცი გოგი რატიანია, ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის გვარად ხატოევია, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ რამდენიმე წლის წინ გვარი რატიანად გადაიკეთა.

მოკლული სამართალდამცავ უწყებაშიც რატიანად არის დაფიქსირებული. ნიუპოსტის ცნობით, ის წლების განმავლობაში კრიმინალურ სამყაროში გოგი ხატოევის, მეტსახელად „კოჩო გოგიას“ სახელით იყო ცნობილი. ის ეროვნებით იეზიდია. ხატოევს კანონიერი ქურდის სტატუსი ჩამორთმეული ჰქონდა და ის ბოლო წლების განმავლობაში შეცვლილი გვარით, რატიანით ფიქსირდებოდა.




## „კოჩო გოგიას“ მკვლელობის მოტივად შურისძიება იკვეთება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 11 მარტს თბილისში, ტატიშვილის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში 1957 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ. რ. გარდაცვლილი იპოვეს. როგორც ინტერპრესნიუსს შსსში განუცხადეს, მოკლულს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ჭრილობა გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღით თავში მიაყენეს. გამოძიების წინასწარი ვერსიით, ამ ეტაპზე მკვლელობის მოტივად შურისძიება იკვეთება.

# სუს-მა კოტე დ. და დავით შ. დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქეები: კოტე დ. და დავით შ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, რომელთაგან ერთ-ერთი თავს ასაღებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლად, წინასწარი შეთანხმებით, თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეებს, თითქოსდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და სამინისტროს სხვა მაღალი თანამდებობის პირების დახმარებით, ქ.თბილისში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით შეძენაში დახმარებას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდაც მათ 200.000 ლარის გადახდა მოითხოვეს.

მიმდინარე წლის 8 მარტს დაკავებულებმა აღნიშნულ მოქალაქეებს წინასწარ გამოართვეს მოთხოვნილი თანხის ნაწილი 50.000 ლარის ოდენობით, როდესაც ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულების სახით დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის ხელყუმბარა სხვა საქმეშიც ფიგურირებს“



— ხელყუმბარა, რომელიც თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში ნივთმტკიცება იყო, მაგრამ ახლა განადგურებულია, კიდევ სხვა საქმეშიც ფიგურირებს.

ამის შესახებ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ხელყუმბარა ბრალდებულ რუსლან ალდამოვის საქმეშიც ფიგურირებს.

— სასწრაფო წესით მოხდა ამ ხელყუმბარის განადგურება, ოპერაციის ჩატარებიდან ერთ კვირაში. ხელყუმბარა, რომელიც მათ წარმოადგინეს, კიდევ სხვა საქმეშიც ფიგურირებს. მე ვარ წარმომადგენელი და ვიცავ ბრალდებულ რუსლან ალდამოვის ინტერესებს. იქ არიან კიდევ სხვა ბრალდებულები. სწორედ ამ საქმის ერთ-ერთ მონაწილედ იყო წარმოჩენილი თემირლან მაჩალიკაშვილი და სხვადასხვა ჩვენებებიდან თემირლანის მიმართ გამოტანილი დაკავების განჩინებაც ამას უკავშირდება. იქნებ ამ კუთხიდანაც მსურდა შემემოწმებინა?! მხარე არის არათანაბარ ვითარებაში.

ჩვენ სატელევიზიო ეთერიდანაც მივმართავდით მათ და თავი დავიზღვიე და ოფიციალურადაც მივმართე. როდესაც მივედი და თბილისის პროკურატურას მივმართე, ჯერ რადგან მხარე არ ვარ და არაოფიციალურად ხდება ჩემი მისვლა და საქმის მასალების გაცნობა, მათ მითხრეს, რომ ხელყუმბარასთან შეხება არ აქვთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს დანიშნული ექსპერტიზა და გადამამისამართეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან. ამის შემდეგ შევიტანე განცხადება. თუმცა, ჩვენი მოთხოვნა პირველივე დღიდან იყო, რომ გვსურდა დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვა და არ გაენადგურებინათ ხელყუმბარა, — განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

პროკურატურა უარყოფს ინფორმაციას, რომ მაჩალიკაშვილის დაკავების ოპერაციის დროს აღმოჩენილი ხელყუმბარა ექსპერტიზის ჩატარების გარეშეა განადგურებული. მთავარი პროკურატურის განმარტებით, ექსპერტიზის ფარგლებში, ექსპერტების მიერ მოხდა ხელყუმბარის აფეთქება და დადგინდა, რომ ამოღებული საბრძოლო მასალა იყო ვარგისი.

**ინტერპრესნიუსი**

# ავარია რუსთავში — ქმარი ცოლს დაეჯახა




ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე, დაახლოებით 23 საათზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, ნისანის მარკის ავტომობილი 21 წლის გოგოს დაეჯახა. საჭესთან დაშავებულის ქმარი იჯდა. სწორედ მან გადაიყვანა ცოლი „კლინიკა რუსთავში“.

მძღოლი „ინფო რუსთავთან“ აცხადებს, რომ ცოლს ავტომობილი ლეონიძის ქუჩაზე ერთ-ერთ მაღაზიასთან გაუჩერა და მანქანის პარკირება გადაწყვიტა, როდესაც გოგონას ბორდიურზე ასვლისას ფეხი აუცდა, ჩამოვარდა, სწორედ მაგ დროს ქმარმა საჭე ველარ დაიმორჩილა და ცოლს დაეჯახა.

— ქმარი ვარ და ძალით ხომ არ გავაკეთებდი, გადავიდა მაღაზიაში და მე კიდევ ვიფიქრე, მანქანას დავაპარკინგებ, სწორედ მაგ დროს წაიქცა და დავეჯახე, — აცხადებს მძღოლი. დაშავებულის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

# განახლდება თუ არა ომი მთიან ყარაბაღში?

მარიამ მჭედლიშვილი




გახშირდა კავკასიელი ექსპერტების პროგნოზები მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლების თაობაზე.

ახალ ომს წინასწარმეტყველებენ იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა განაცხადეს მოლაპარაკებათა პროცესის ინტენსიფიკაციის აუცილებლობის შესახებ. არსებული მონაცემებით, მოლაპარაკებები გააქტიურდება ორივე ქვეყანაში არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე აშშ-ის მხრიდან ენდრიუ შეფერი აღნიშნავს, რომ დღევანდელი სტატუსკვო დიდხანს ვერ შენარჩუნდება, კონფლიქტის ომით გადაჭრის გზა კი არ არსებობს.

მისი თქმით, კონფლიქტის მხარეებს მოუწევთ რთული გადაწყვეტილების მიღება. ამისათვის აუცილებელია მათი, ასევე თანათავმჯდომარეებისა და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა.

ომი ყარაბაღში 2016 წლის აპრილში განახლდა. ოთხდღიანმა ომმა გამოიწვია მსხვერპლი. მაშინ გამოცხადებული ზავი მუდმივად ირღვევა. ეს გამოიხატება სროლებში, რომლებსაც მასშტაბური ხასიათი არ მიუღია. ამ ორი წლის განმავლობაში მხარეების საომარი რიტორიკა შენელდა.

ახალ მუქარად გაისმა აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე ალი ჰასანოვის განცხადება.

აზერბაიჯანელთა ევროპულ კონგრესზე ჰასანოვმა თქვა, რომ ბაქოს ჰყავს რეგიონში ყველაზე ბრძოლისუნარიანი და ტექნიკურად სრულყოფილი არმია, რაც დადასტურდა აპრილის ომის დროს.

ჯარის გაძლიერებაზე სომხეთიც ზრუნავს. რუსეთი სომხეთს შეიარაღებას იაფად აძლევს და ამისთვის ერევანს შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფს. ბოლო დროს სომხეთის, ასევე სეპარატისტული მთიანი ყარაბაღის არმიას შეემატა რეაქტიული სისტემა „სმერჩი", „ოსკანდერის" სარაკეტო კომპლექსი და სხვა რუსული შეიარაღება.

ცნობილია, რომ იარაღს რუსეთიდან აზერბაიჯანიც ყიდულობს.

საომარ სიტუაციაში აზერბაიჯანს პარტნიორი თურქეთის იმედი აქვს. მიზეზი, რის გამოც ანკარა ბაქოს დასახმარებლად ამჟამად ვერ მოიცლის, სირიაში მიმდინარე მოვლენებია. ბოლო დროს აზერბაიჯანი სულ უფრო უახლოვდება ირანს. მართალია, თეირანი აცხადებს, რომ კავკასიაში სტაბილურობა სურს, მაგრამ არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ირანი კავკასიაში ახალი ომის შემთხვევაში.

დაახლოებით ორი თვის წინ აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების ნაწილი აცხადებდა, რომ მოსალოდნელია ახლო აღმოსავლეთის პროცესების გაფართოება. სირიის პარალელურად, ბრძოლები შეიძლება დაიწყოს მთიან ყარაბაღში.

ითვლება, რომ კონფლიქტის მხარის უპირატესობას განაპირობებს ძლიერი ხელისუფლება. გადაჭარბებული ძალაუფლება აზერბაიჯანის პრეზიდენტს აქვს. სომხეთი საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა. არის აზრი, რომ ამას დასავლეთის თვალში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება – ევროპაში ბევრად უკეთესი თვალით შეხედავენ დემოკრატიულ საპარლამენტო სომხეთს, ვიდრე ავტორიტარულ აზერბაიჯანს.

ამას ყურადღება მიექცევა მშვიდობიანი მოლაპარაკებებისას. კავკასიაში ცხელი კერების წარმოშობა სხვა აქცენტებს გააჩენს.

# ზიგმარ გაბრიელს ჰორსტ ზეეჰოფერი შეცვლის




გერმანიის საგარეო საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი ზიგმარ გაბრიელი პოსტს დატოვებს. ამის თაობაზე თავად გაბრიელმა განაცხადა.

– სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ ამ თანამდებობაზე სხვა კანდიდატის წარდგენის გადაწყვეტილება მიიღო, – ამბობს გაბრიელი.

გაბრიელს ჰორსტ ზეეჰოფერი შეცვლის. ჟურნალისტებთან საუბარში მან თავის გეგმებზე დაწვრილებით ისაუბრა. ზეეჰოფერმა განაცხადა, რომ მიგრანტების წინააღმდეგ პოლიტიკის გამკაცრების მომხრეა.

– დამნაშავეთა მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გვქონდეს, – თქვა ზეეჰოფერმა.

# აღმოსავლეთ გუტა: ასადის რეჟიმი შეტევას განაგრძობს




ასადის რეჟიმმა სამშვიდობო შეთანხმება კვლავ დაარღვია და აღმოსავლეთ გუტაზე შეტევა ცადა.

პარტიზანმა ისლამისტებმა ის მოიგერიეს. ამის შემდეგ ქალაქის დაბომბვა დაიწყო. რუსულმა ავიაციამ დაბომბა ბაზარი, სკოლები, საავადმყოფოები.

– ჩადენილია სამხედრო დანაშაული. დაიბომბა სკოლები და საავადმყოფოები. აუცილებელია, ამის ჩამდენნი დაისაჯონ, – განაცხადა გაეროს კომისარმა ალ-ჰუსეინმა.

ასადის ჯარისკაცებმა აღმოსავლეთ გუტას ნაწილზე კონტროლის დამყარება შეძლეს. ბრძოლები გრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# სკრიპალის საქმე: სოლსბერიში ქიმიური თავდაცვის ნაწილები გაგზავნეს




ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ გრუ-ს ყოფილი ოფიცერი, სკრიპალი, ნერვო-პარალიტიკური გაზით არის მოწამლული.

მისი გამოყენება საერთაშორისო კონვენციებით არის აკრძალული. ეს მასობრივი განადგურების იარაღია. ბრიტანეთის ხელისუფლებამაც სოლსბერიში ქიმიური თავდაცვის სამხედრო ნაწილები გაგზავნა.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა, რომ დახმარებისათვის სამხედროებს მიმართა. არსებობს საფრთხე იმისა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებამ სოლსბერის მოსახლეობას ზიანი მიაყენოს.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ სოლსბერიში მოწამვლის ფაქტს ნატოელ პარტნიორებთან ერთად განიხილავს.

– ჩვენი პასუხიც საერთო იქნება, – ამბობს ჯონსონი.

# ნატომ უკრაინას ასპირანტის სტატუსი მიანიჭა



ნატომ უკრაინას ასპირანტის სტატუსი მიანიჭა. ამრიგად, საქართველოს, მაკედონიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ერთად უკრაინაც გამოიკვეთა, როგორც ნატოში გაწევრიანების კანდიდატი.

– შემდგომი ნაბიჯი ნატოში სრულუფლებიანი წევრობა იქნება, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

უკრაინის ვიცეპრემიერმა ივანა კლიმკუშ-ცინცაძემ ნატოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას უკრაინული დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება უწოდა, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ასპირანტობას იმ ქვეყანას ანიჭებენ, რომელიც ნატოში გაწევრიანების სურვილს დააფიქსირებს. ეს ნატოს არ ავალდებულებს, განიხილოს მისი წევრობის საკითხი.

– უკრაინის ნატოში გაწევრიანებისთვის აუცილებელია ძირეული რეფორმების გატარება. ეს რეფორმები როგორც თავდაცვის, ასევე პოლიტიკურ სფეროებსაც უნდა მოიცავდეს, – თქვა კლიმკუშ-ცინცაძემ.

პეტრო პოროშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ნატოსკენ სწრაფვა შეუქცევადია. პრეზიდენტმა თქვა, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში შევა შესწორება და ნატოში გაწევრიანება ოფიციალურად დაფიქსირდება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ქუთაისი დამაჯერებლად ლიდერობს



**ქუთაისი-სოხუმი 118:81**
(30:24, 24:19, 34:18, 30:20)

იმერეთის მთავარ ქალაქში სათამაშოდ აუტსაიდერი სოხუმი ჩავიდა. ჩემპიონატის ლიდერს ბლომად ქულა კი ჩაუგდო, მაგრამ დაცვაში ღია კარის დღე მოაწყო, 118 ქულა მიიღო და თამაში უბრძოლველად დათმო.

რიონისპირელები პირველივე მეოთხედიდან შეუდგნენ საქმეს – ათწუთეული 6 ქულით მოიგეს, რასაც 5 ქულა მეოთხედში დაამატეს და შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ.

მესამე მეოთხედი კი სრული კრახი გამოდგა სოხუმელთათვის – ქუთაისმა 34:18 მოიგო და მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყვიტა. თუმცა, არც ბოლო მეოთხედში მოეშვა და საბოლოოდ 37 ქულით იმარჯვა.

სოხუმელებს ყველაზე მეტი, 32 ქულა ჯონათან ლიმ ჩაუგდო, რომელმაც დამატებით 6 პასი მიაყოლა. 19 ქულა აკაკი ლომოურის ანგარიშზეა, გიგი ბარბაქაძემ 18 ქულა მიითვალა, ხოლო ბექა წივწივაძემ – 15. სოხუმელთაგან რამდენიმე კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, მათგან საუკეთესო სერგეი პრიმარკი იყო 16 ქულით, ხოლო გიორგი კვეტენაძემ 13 ქულა წაახმარა თავის გუნდს.

**რუსთავი-კაქტუსი 68:75**
(17:18, 14:16, 10:19, 27:22)

რუსთავში, სადაც სათამაშოდ კაქტუსი ჩავიდა და ბევრისთვის მოულოდნელი შედეგიც დააფიქსირა. ეს უკვე ზედიზედ მეორედ გააკეთა – წინა ტურში კაქტუსმა ქუთაისს უჩხვლიტა, ახლა კი მეორეადგილოსანი რუსთავი საკუთარ მოედანზე დაამარცხა – 75:68.

კაქტუსმა თავიდანვე ხისტი დაცვა შეთავაზა მეტოქეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა გამარჯვებისკენ. პირველ ტაიმში გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ვინაობა, მესამე მეოთხედში კი არჩილ ჟღენტის გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა და გამარჯვებულის ვინაობა პრაქტიკულად გადაწყვიტა. რუსთავმა ბოლოს კი გაიბრძოლა და დასკვნითი ათწუთეული მოიგო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

თბილისურ გუნდს 22 ქულით დეანდრე პარკსმა ულიდერა. 15 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა ანატოლი ბოისას. მასპინძელთა გუნდში 13-13 ქულა რეზო ჩაჩანიძემ და ლევან ცეკვავამ დააგროვეს. 12-12 ქულა ტაირელ ნელსონისა და ბრაიან ბერნარდის ანგარიშზე დაგროვდა.

**დინამო-მგზავრები 85:67**
(13:21, 23:15, 27:17, 22:14)

მატჩის პირველი ნახევარი დაძაბული გამოდგა. თავიდან მგზავრები დაწინაურდნენ, მაგრამ დინამომ მოახერხა გარდატეხის შეტანა და ტაიმიც ფრედ დასრულდა, ხოლო მეორე ნახევარში მოქმედმა ჩემპიონმა დინამომ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და თამაში ისე ჩაამთავრა, მგზავრებისთვის წარმატების შანსი არ მიუცია.

საბოლოოდ დინამომ 85:67 მოიგო და ტიტულის დასაცავად ბრძოლას აგრძელებს.

დინამოელებს 15 ქულით რეივენ ლიმ ულიდერა. 14 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა კაელ ტურპინმა, ხოლო ლაველ ბოიდისა და ალექსანდერ მიტროვიჩის ანგარიშზე 12-12 ქულა დაგროვდა. მგზავრებში 23 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი, ხოლო ტეილორ სტეფორდმა და კახა ჯინჭარაძემ 11-11 ქულა მოაგროვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 21 | 17 | 4 | 1814:1583 | 38 |
| 2.დინამო | 21 | 14 | 7 | 1735:1565 | 35 |
| 3.კაქტუსი | 22 | 13 | 9 | 1749:1769 | 35 |
| 4.რუსთავი | 21 | 14 | 7 | 1703:1600 | 35 |
| 5.ბათუმი | 21 | 11 | 10 | 1594:1506 | 32 |
| 6.ოლიმპი | 20 | 12 | 8 | 1561:1501 | 32 |
| 7.მგზავრები | 21 | 7 | 14 | 1604:1766 | 28 |
| 8.დელტა | 21 | 6 | 15 | 1678:1815 | 27 |
| 9.სოხუმი | 22 | 1 | 21 | 1660:1993 | 23 |

# ძველი ამბავი — საქართველომ რუსეთი დაამარცხა

**რუსეთი-საქართველო 9:29**

ბორჯღალოსნებმა რუსეთის ნაკრებს 22-ე შეყრაზე მეოცედ მოუგეს და მერვე სტუმრობაზე მეტოქე სარეკორდო სხვაობით დაამარცხეს – 29:9! რუსებმა რაგბიში ქართველებთან გამარჯვება ერთადერთხელ, შორეულ 1993 წელს პირველ შეხვედრაში, პოლონეთი მოიპოვეს, მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე მიილია და აქტივში 2002 წელს ერთადერთი ფრეღა ჩაიწერეს, ბოლო 17 თამაში კი ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

2013 წლიდან მეტოქეს მათსავე მიწაზე მესამედ შევხვდით და მესამედ გავზარდეთ სტუმრად მოგებათა სხვაობა – 2013 წელს იყო 23:9, 2016 წელს 24:7 და ამჯერად 29:9. „დათვებს" სტუმრად მეორედ გავუტანეთ 4 ლელო. მანამდე, იმავე კრასნოდარში, რუსებისთვის გატანილი გვქონდა 4 ლელო, ურთიერთშეხვედრების 22-მატჩიან ისტორიაში კი საუკეთესო მაჩვენებელი 2-ჯერ გვქონდა – 6-6 ლელო 2006 და 2012 წლებში თბილისში.

ეს ყველაფერი კლასში არსებული სხვაობის მაჩვენებელია და ბორჯღალოსნებმაც გადამწყვეტი უპირატესობა დიდი გუნდების დარად, დასკვნით მეოთხედში მოიპოვეს.

კრასნოდარი თამაშს წვიმითა და ქარით დახვდა და მეორე ტაიმის დასაწყისში სეტყვაც ჩამოყარა. შედეგად, ტრიბუნებზე მაყურებლის მცირე რაოდენობა მივიდა და სასიამოვნოა, რომ მათი უმეტესობა ქართველები იყვნენ.

რუსებმა ტაქტიკად ფეხით თამაში აირჩიეს, იმ იმედით, რომ ქართველ უკანახაზელებს სველი ბურთის დაჭერა გაუძნელდებოდათ. ბურთი ბევრჯერ დავკარგეთ და ამან პირველ ტაიმში პრობლემები მართლაც შექმნა – მასპინძლებმა დროის უმეტესი ნაწილი ჩვენს ნახევარზე გაატარეს.

ანგარიში რუსებმა კუშნარიოვის ჯარიმით გახსნეს, რის შემდეგაც ბორჯღალოსნებმა ტემპს უმატეს და მეტოქეს პრობლემები შეუქმნეს. ჯარიმა კარში არ დავარტყით და 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მოკლე ფრთაზე შალვა მამუკაშვილმა შეუტია, მაგრამ აუტში გადაიყვანეს. ხმალაძემ ჯარიმები შემდეგ 2 ეპიზოდშიც აუტში გადაიტანა, ამჯერად მოლმა 5 მეტრი დაფარა და ლელო ანტონ ფეიქრიშვილმა გაიტანა, ხოლო სოსო მათიაშვილმა გარდასახა.

შესვენებამდე დარჩენილ დროში რუსებმა ჩვენი შეცდომებით კიდევ ორჯერ ისარგებლეს და კუშნარიოვმა სხვაობა ჯერ მინიმუმამდე დაიყვანა, მერე მასპინძლები დააწინაურა და ტაიმი 9:7 დასრულდა.

ბუნებრივია, ასეთ სიტუაციას ბორჯღალოსნები არ შეეგუვნენ, მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქე ორჯერ დაძრეს მოლში, მეორე ჯერზე მასპინძლები კარის წინ 15 მეტრში დაჯარიმდნენ და მათიაშვილმა უპირატესობა



დაგვიბრუნა. მეორე ტაიმში ინიციატივას ბორჯღალოსნები კი ფლობდნენ, მაგრამ მეორე ლელო 66-ე წუთზეღა, სუფთად ქართულ სტილში გავიდა.

რუსები 22-ში მათსავე შერკინებაში დავაჯარიმეთ, დერეფანში ბურთის მოგების შემდეგ, მოლმა 5 მეტრი სწრაფად დაფარა და კახა ასიეშვილმა, რომელმაც წელს ბორჯღალოსნების კვართი პირველად მოირგო, მე-4 სანაკრებო ლელო გაიტანა, ხოლო მათიაშვილმა გარდასახა და სხვაობა 8-ქულიანი გახადა.

72-ე წუთზე მოლი კიდევ ერთხელ დადგა და ამჯერადაც თავი შეცვლაზე შესულმა მოთამაშემ გამოიჩინა. მოლი დაახლოებით 10 მეტრიდან დაიძრა, 5 მეტრის გავლის შემდეგ ის დაიშალა, ბურთიანმა მიხეილ გაჩეჩილაძემ შალვა სუთიაშვილის დახმარებით შეუტია და მათიაშვილი გარდასახვიდან არც ამჯერად შეცდა – 24:9.

მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და დასკვნით წუთებში ბორჯღალოსნებმა ლელო ლამაზ სტილში დადეს. ვასილ ლობჟანიძემ რაქიდან გამოტანილი ბურთი ლელოში ფეხით შეაცურა, მას ერთბაშად 2 მიჰყვა – ანზორ სიჭინავა და მერაბ კვირიკაშვილი და მეკომ 109-ე მატჩში მე-17 ლელო გაიტანა. მას მონაგარის კიდევ 2 ქულით გაზრდაც შეეძლო, თუმცა გარდასახვა არაზუსტი იყო და საქართველომ რუსეთი მე-20 ჯერზე ბონუსით, 20 ქულის სხვაობით დაამარცხა – 29:9.

წინ რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩია. 18 მარტს, 16 საათზე, ბორჯღალოსნების რაგბი ევროპისა და ანთიმოზ ივერიელის თასების დასაბრუნებლად დინამოზე რუმინეთს ერკინებიან.



# 17 წლამდე ნაკრებმა შეკრება დაიწყო

საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდამდე ბოლო, დასკვნითი შეკრება დაიწყო.

გიორგი ნემსაძემ გუნდი თბილისში შეკრიბა, სადაც 17 მარტამდე ავარჯიშებს, მერე კი ნაკრები პოლონეთში გაემგზავრება.

საქართველოს 17 წლამდე ნაკრები ელიტ-რაუნდის პირველ მატჩს 21 მარტს მასპინძელ პოლონეთთან გამართავს. 24 მარტს ჩვენი გუნდი ირლანდიას შეხვდება, ხოლო 27 მარტს – მაკედონიას.

მთავარი მწვრთნელის რჩეულთა შორის 23 ფეხბურთელია.

**მეკარეები:** ლუკა ხარშილაძე (დინამო თბ), ლუკა კუტალაძე (დინამო თბ);

**მცველები:** ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), გიორგი აბზიანიძე (ტორპედო), ირაკლი აზაროვი, სანდრო კალანდაძე (ორივე დინამო თბ), ზურაბ ბაქრაძე (ლოკომოტივი), საბა ჭინჭარაული (ბევერენი, ბელგია), ცოტნე კაპანაძე (საბურთალო);

**ნახევარმცველები:** ცოტნე ჩოთალიშვილი, ნიკოლოზ ტალახაძე, შოთა ნონიკაშვილი (ყველა საბურთალო), ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი მირზიკაშვილი (ორივე დინამო თბ), ანატოლი მესიაჩენკო (სამტრედია), ნიკოლოზ მემარნე (იბერია 2010), ლუკა-სებასტიან შვარცი (კარლსრუე, გერმანია);

**თავდამსხმელები:** ელგუჯა ჯანგველაძე, ხვიჩა კვარაცხელია (ორივე დინამო თბ), ზურიკო დავითაშვილი (ლოკომოტივი), გიორგი გულიაშვილი, ლადო ჩიხრაძე (ორივე საბურთალო), გიორგი გაგუა (იბერია 2010).

# შედეგები

**10 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ლივერპული .............. 2:1
ევერტონი-ბრაიტონი .................... 2:0
ჰადერსფილდი-სუონსი ................. 0:0
ნიუკასლი-საუთჰემპტონი .............. 3:0
ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი ............. 1:4
ვესტ ჰემი-ბარნლი ........................ 0:3
ჩელსი-კრ.პალასი .......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 25 | 3 | 1 | 83-20 | 78 |
| 2.მანჩესტერი | 30 | 20 | 5 | 5 | 58-23 | 65 |
| 3.ლივერპული | 30 | 17 | 9 | 4 | 68-34 | 60 |
| 4.ტოტენჰემი | 29 | 17 | 7 | 5 | 55-24 | 58 |
| 5.ჩელსი | 30 | 17 | 5 | 8 | 52-27 | 56 |
| 6.არსენალი | 29 | 13 | 6 | 10 | 52-41 | 45 |
| 7.ბარნლი | 30 | 11 | 10 | 9 | 27-26 | 43 |
| 8.ლესტერი | 30 | 10 | 10 | 10 | 45-43 | 40 |
| 9.ევერტონი | 30 | 10 | 7 | 13 | 35-49 | 37 |
| 10.უოტფორდი | 29 | 10 | 6 | 13 | 39-47 | 36 |
| 11.ბრაიტონი | 30 | 8 | 10 | 12 | 28-40 | 34 |
| 12.ბორნმუთი | 29 | 8 | 9 | 12 | 34-44 | 33 |
| 13.ნიუკასლი | 30 | 8 | 8 | 14 | 30-40 | 32 |
| 14.სუონსი | 30 | 8 | 7 | 15 | 25-42 | 31 |
| 15.ჰადერსფილდი | 30 | 8 | 7 | 15 | 25-50 | 31 |
| 16.ვესტ ჰემი | 30 | 7 | 9 | 14 | 36-57 | 30 |
| 17.საუთჰემპტონი | 30 | 5 | 13 | 12 | 29-44 | 28 |
| 18.კრ.პალასი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-48 | 27 |
| 19.სტოკი | 29 | 6 | 9 | 14 | 28-54 | 27 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 3 | 11 | 16 | 23-47 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბარტონი-ბრისტოლი ...................... 0:0
კარდიფი-ბირმინგემი ..................... 3:2
ჰალი-ნორვიჩი ................................ 4:3
იფსვიჩი-შეფილდი ......................... 0:0
მიდლსბრო-ბარნსლი ...................... 3:1
მილუოლი-ბრენტფორდი ................ 1:0
პრესტონი-ფულემი ......................... 1:2
ქპრ-სანდერლენდი .......................... 1:0
რედინგი-ლიდსი ............................. 2:2
უენსდი-ბოლტონი ........................... 1:1
ასტონ ვილა-ვულვზი ...................... 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-რეალი ................................ 1:2
სევილია-ვალენსია ......................... 0:2
ხეტაფე-ლევანტე ............................ 0:1
მალაგა-ბარსელონა ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 22 | 6 | 0 | 72-13 | 72 |
| 2.ატლეტიკო | 27 | 18 | 7 | 2 | 45-12 | 61 |
| 3.რეალი | 28 | 17 | 6 | 5 | 67-30 | 57 |
| 4.ვალენსია | 28 | 17 | 5 | 6 | 54-30 | 56 |
| 5.სევილია | 28 | 14 | 3 | 11 | 36-42 | 45 |
| 6.ხირონა | 28 | 12 | 7 | 9 | 40-36 | 43 |
| 7.ვილიარეალი | 27 | 12 | 5 | 10 | 36-32 | 41 |
| 8.ეიბარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-41 | 39 |
| 9.სელტა | 27 | 11 | 5 | 11 | 45-39 | 38 |
| 10.ბეტისი | 27 | 11 | 4 | 12 | 43-52 | 37 |
| 11.ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 33-26 | 36 |
| 12.სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 12 | 49-48 | 33 |
| 13.ლეგანესი | 27 | 9 | 6 | 12 | 23-32 | 33 |
| 14.ბილბაო | 27 | 7 | 11 | 9 | 27-31 | 32 |
| 15.ესპანიოლი | 27 | 7 | 11 | 9 | 24-33 | 32 |
| 16.ალავესი | 27 | 10 | 1 | 16 | 24-39 | 31 |
| 17.ლევანტე | 28 | 4 | 12 | 12 | 23-42 | 24 |
| 18.ლას პალმასი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-55 | 20 |
| 19.დეპორტივო | 28 | 4 | 7 | 17 | 25-59 | 19 |
| 20.მალაგა | 28 | 3 | 4 | 21 | 16-45 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

გრანადა-ხიმნასტიკი ...................... 0:1
ალმერია-რაიო ............................... 0:1
ალკორკონი-ვალიადოლიდი .......... 0:0
კადისი-სევილია ბ .......................... 4:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰამბურგი ......................... 6:0
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ............ 3:0
ჰერტა-ფრაიბურგი ......................... 0:0
ჰანოვერი-აუგსბურგი .................... 1:3
ლევერკუზენი-გლადბახი ............... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 21 | 3 | 2 | 65-18 | 66 |
| 2.შალკე | 26 | 13 | 7 | 6 | 40-30 | 46 |
| 3.ლევერკუზენი | 26 | 12 | 8 | 6 | 47-33 | 44 |
| 4.დორტმუნდი | 25 | 11 | 9 | 5 | 50-31 | 42 |
| 5.აინტრახტი | 25 | 12 | 6 | 7 | 33-27 | 42 |
| 6.ლაიპციგი | 25 | 11 | 6 | 8 | 38-34 | 39 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 26 | 10 | 8 | 8 | 43-38 | 38 |
| 8.აუგსბურგი | 26 | 9 | 8 | 9 | 36-33 | 35 |
| 9.გლადბახი | 26 | 10 | 5 | 11 | 33-39 | 35 |
| 10.შტუტგარტი | 25 | 10 | 3 | 12 | 23-29 | 33 |
| 11.ჰერტა | 26 | 7 | 11 | 8 | 30-31 | 32 |
| 12.ჰანოვერი | 26 | 8 | 8 | 10 | 33-38 | 32 |
| 13.ფრაიბურგი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-42 | 30 |
| 14.ვერდერი | 25 | 6 | 9 | 10 | 24-30 | 27 |
| 15.ვოლფსბურგი | 26 | 4 | 13 | 9 | 28-36 | 25 |
| 16.მაინცი | 26 | 6 | 7 | 13 | 29-43 | 25 |
| 17.ჰამბურგი | 26 | 4 | 6 | 16 | 18-41 | 18 |
| 18.კიოლნი | 25 | 4 | 5 | 16 | 24-46 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-კილი .................................. 1:1
ფიურტი-კაიზერი ........................... 2:1
დარმშტადი-ინგოლშტადი ............. 1:1
ზ.პაული-ბრაუნშვაიგი .................. 0:0

**იტალია. სერია ა**

ვერონა-კიევო ................................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 27 | 22 | 3 | 2 | 62-19 | 69 |
| 2.იუვენტუსი | 26 | 22 | 2 | 2 | 63-15 | 68 |
| 3.რომა | 28 | 17 | 5 | 6 | 47-23 | 56 |
| 4.ლაციო | 27 | 16 | 4 | 7 | 64-34 | 52 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 42-21 | 51 |
| 6.სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 46-34 | 44 |
| 7.მილანი | 26 | 13 | 5 | 8 | 37-30 | 44 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 27 | 8 | 12 | 7 | 36-35 | 36 |
| 10.ფიორენტინა | 26 | 9 | 8 | 9 | 35-32 | 35 |
| 11.უდინეზე | 26 | 10 | 3 | 13 | 37-38 | 33 |
| 12.ბოლონია | 27 | 10 | 3 | 14 | 33-39 | 33 |
| 13.ჯენოა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-27 | 30 |
| 14.კალიარი | 26 | 7 | 4 | 15 | 23-41 | 25 |
| 15.კიევო | 27 | 6 | 7 | 14 | 23-44 | 25 |
| 16.სასუოლო | 26 | 6 | 5 | 15 | 15-46 | 23 |
| 17.სპალი | 27 | 5 | 8 | 14 | 27-49 | 23 |
| 18.ვერონა | 27 | 6 | 4 | 17 | 25-51 | 22 |
| 19.კროტონე | 26 | 5 | 6 | 15 | 23-47 | 21 |
| 20.ბენევენტო | 26 | 3 | 1 | 22 | 18-60 | 10 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-პრო ვერჩელი ........................ 2:2
ვენეცია-ასკოლი ............................ 1:0
კრემონეზე-ჩიტადელა .................... 1:1
პერუჯა-ფოჯა ................................. 2:0
პესკარა-პარმა ............................... 1:4
სპეცია-ტერნანა .............................. 1:1
ჩეზენა-კარპი .................................. 0:0
პალერმო-ფროზინონე .................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-მეცი ........................................ 5:0
ბორდო-ანჟე ................................... 0:0
დიჟონი-ამიენი ............................... 1:1
ლილი-მონპელიე ............................ 1:1
ნანტი-ტრუა .................................... 1:0
რენი-სტ.ეტიენი .............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 25 | 2 | 2 | 91-19 | 77 |
| 2.მონაკო | 29 | 19 | 6 | 4 | 72-31 | 63 |
| 3.მარსელი | 28 | 16 | 8 | 4 | 57-33 | 56 |
| 4.ლიონი | 28 | 14 | 9 | 5 | 58-34 | 51 |
| 5.ნანტი | 29 | 12 | 7 | 10 | 29-29 | 43 |
| 6.რენი | 29 | 12 | 6 | 11 | 37-36 | 42 |
| 7.მონპელიე | 29 | 9 | 14 | 6 | 26-23 | 41 |
| 8.ნიცა | 28 | 11 | 6 | 11 | 34-39 | 39 |
| 9.ბორდო | 29 | 10 | 7 | 12 | 33-37 | 37 |
| 10.დიჟონი | 29 | 10 | 7 | 12 | 41-55 | 37 |
| 11.სტ.ეტიენი | 29 | 9 | 9 | 11 | 31-44 | 36 |
| 12.გენგამი | 28 | 9 | 8 | 11 | 28-38 | 35 |
| 13.კაენი | 28 | 10 | 5 | 13 | 22-32 | 35 |
| 14.ანჟე | 29 | 7 | 11 | 11 | 32-40 | 32 |
| 15.სტრასბური | 29 | 8 | 7 | 14 | 33-52 | 31 |
| 16.ამიენი | 29 | 8 | 6 | 15 | 24-33 | 30 |
| 17.ტულუზა | 28 | 7 | 8 | 13 | 26-37 | 29 |
| 18.ტრუა | 29 | 8 | 4 | 17 | 24-39 | 28 |
| 19.ლილი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-46 | 28 |
| 20.მეცი | 29 | 5 | 5 | 19 | 26-55 | 20 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

პარიზი-სოშო .................................. 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ბრედა ............................ 0:2
ვენლო-ექსელსიორი ...................... 2:3
ტილბურგი-ენდჰოვენი ................... 5:0
როდა-სპარტა ................................. 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ფეირენშე ......................... 2:1
ბენფიკა-ავიში ............................... 2:0
ბოავიშტა ეშტორილი ..................... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ანჟი ........................................ 3:2
დინამო-კრასნოდარი ..................... 0:0
ტოსნო-რუბინი ............................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-სტ.გალენი ....................... 1:4
ციურიხი-ლუგანო .......................... 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-მოზერველი ............... 2:0
კილმარნოკი-როსი ......................... 3:2
პარტიკი-აბერდინი ........................ 0:0
დანდი-სტ.ჯონსონი ....................... 0:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-რაპიდი .............................. 0:0
ადმირა-შტურმი ............................. 2:4
აუსტრია-სტ.პოლტენი ................... 4:0
ვოლფსბერგერი-ლინცერი ............ 0:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-კერკირა ........................... 0:0
პანიონიოსი-ატრომიტოსი ............. 2:2
პანათინაიკოსი-ასტერასი ............. 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქაშიმფაშა .......................... 2:2
ოსმანლი-ბურსა ............................. 2:1
ბეშიქთაში-გენჩლერი .................... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბრნო-ბოლესლავი .......................... 0:3
კარვინა-სპარტა ............................ 1:1
სლოვაკო-ბოჰემიანსი ................... 1:0
ტეპლიცე-ზლინი ............................ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სანდეცია-პიასტი ........................... 0:3
პოგონი-კრაკოვია .......................... 0:3
პლოცკი-კორონა ............................ 2:0

*პლოცკის მე-2 გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა*

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-სტალი .............................. 1:2
ოლექსანდრია-ჩერნომორეცი ....... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-სილკებორგი ..................... 1:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ბოიკოტი რუსეთს



ბრიტანული მედია სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს – არ არის გამორიცხული, დიდმა ბრიტანეთმა რუსეთში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადოს. ამის მიზეზი კი სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ პოლკოვნიკ სერგეი სკრიპალის მოწამვლაა. თუ პოლიციამ დაამტკიცა, რომ სკრიპალი ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში თანამემამულეებმა მოწამლეს, ბრიტანელები მუნდიალს განუდგებიან.

სკრიპალი რუსეთში სახელმწიფოს ღალატისათვის გაასამართლეს. ის ბრიტანეთის აგენტობაში დაადანაშაულეს, 2010 წელს კი აშშ-ში ჯაშუშობისათვის დაპატიმრებულ რუს მზვერავებში გაცვალეს. 4 მარტს კი, სკრიპალი და მისი ქალიშვილი დამბლადამცემი ნერვულ-პარალიტიკური გაზით მოწამლეს.

ბრიტანელები მუნდიალის ბოიკოტს ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებთან ერთად კოორდინირებული რეაქციის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავენ, რასაც დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო სანქციები მოჰყვება.

6 მარტს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა უკვე მიანიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტს არ გამორიცხავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ბოიკოტს შესაძლოა პოლონეთი, ავსტრალია და იაპონია შეუერთდნენ.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ლონდონში რუსეთის ყოფილი სპეცსამსახურის ოფიცერი ალექსანდრე ლიტვინენკო მოწამლეს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაშინ ბრიტანელებმა ლიტვინენკოს მოწამვლაში პირდაპირ კრემლი დაადანაშაულეს.

# ბარსელონა გრიზმანის გამო 6 ფეხბურთელს ყიდის



ბარსელონას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში კატალონიური გრანდის პირველი პრიორიტეტი მაინც წინახაზელის შეძენაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბარსას ანტუან გრიზმანის გადაბირება უნდა. კატალონიელები ამისათვის ყველაფერს აკეთებენ და ყველაფრისთვის მზად არიან. ესპანური მედიის ინფორმაციით, ატლეტიკოს ფორვარდის ბარსელონაში გადასვლა თითქმის გარდაუვალია.

გრიზმანის მადრიდულ კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ფრანგი 100 მილიონი ევრო ღირს. ესპანური მედიის ცნობით, გრიზმანის ტრანსფერისთვის ბარსელონა რამდენიმე ფეხბურთელს გაყიდის.

კონკრეტულად კი, ზაფხულში ბარსას 6 მოთამაშე დატოვებს. კლუბი ტრანსფერზე აყენებს ალეიშ ვიდალს, პაკო ალკასერს, ანდრე გომეშსა და დენის სუარესს. გარდა ამისა, ბარსას საბოლოოდ დაემშვიდობებიან არდა თურანი და რაფინია, რომლებიც ახლა განათხოვრებულები არიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 12 მარტისთვის



**ვერძი** – კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **კურო** – პლანეტები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **ტყუპები** – განმარტოვდით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. საქმის დამთავრებისათვის ხელსაყრელ დროს დაელოდეთ. **კირჩხიბი** – ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **ლომი** – რთული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. გარისკვას ნუ ეცდებით. **ქალწული** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. თამამად და აქტიურად იმოქმედეთ. მეგობრებთან ურთიერთობა ოპტიმიზმს შეგმატებთ. **სასწორი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **მერწყული** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თევზები** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ბრიტანელმა 11 ათასი ვოლტის დარტყმა ვერ იგრძნო



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა 11 ათასი ვოლტის დარტყმა მიიღო, როდესაც ატლანტიკური ქარიშხლის „ემა“ შედეგების ლიკვიდაციას ცდილობდა, და ამასთან პრაქტიკულად არაფერი უგრძნია. ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივმა ენერგეტიკულმა კომპანიამ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

ინციდენტი ქალაქ მოტრამში, მანჩესტერის მახლობლად მოხდა. მამაკაცმა ელექტროგადამცემ ხაზზე სტიქიის შედეგად მოტეხილი ხის დიდი ტოტი შენიშნა და მის ჩამოხსნას შეეცადა. ამ დროს მცირე ჩხვლეტა იგრძნო, ამიტომ საკუთარ იდეაზე უარი თქვა და ენერგეტიკოსებს დაურეკა.

კომპანიის საგანგებო მდგომარეობების სპეციალისტმა კრის ფოქსმა დაუყოვნებლივ გამორთო ელექტროენერგია გადამცემ ხაზზე, რომელშიც 11 ათასი ვოლტი ძაბვა გადიოდა, ასევე მოქალაქეს, რომელმაც მომხდარის თაობაზე შეატყობინა, ურჩია, იმ ადგილიდან თავი შორს დაეჭირა.

ფოქსმა მამაკაცს დედამიწაზე ყველაზე იღბლიანი ადამიანი უწოდა, რადგანაც ის უეჭველ სიკვდილს გადაურჩა. სპეციალისტის თქმით, მამაკაცს გადარჩენაში მთელი რიგი გარემოებები დაეხმარა: მისი ხელთათმანები, ფეხსაცმელი და ისიც, რომ ტოტი სრულიად ხმელი აღმოჩნდა.

# მასწავლებელი მეცადინეობებს ქალების ტრუსების შენახვისთვის ჩამოაშორეს




იაპონიის ფუკუოკას პროვინციის ქალაქ კურუმეში დროებით ჩამოაშორეს სამსახურს სკოლის მასწავლებელი, რომელიც საკლასო ოთახში 750 ცალ ქალის ტრუსს ინახავდა.

გასული წლის აგვისტოში სკოლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სამეურნეო ინვენტარისთვის განკუთვნილ კარადაში 10 ცალი პლასტიკატის შეკვრა აღმოაჩინა, რომლებშიც ქალების საცვლები იყო ჩალაგებული. კაბინეტზე პასუხისმგებელმა 50 წლის მასწავლებელმა სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე აღიარა, რომ მთელი ეს ნივთები მას ეკუთვნოდა.

მასწავლებელმა განმარტა, რომ ქალის საცვლები 2016 წელს შეიძინა, რაშიც მან 10,6 ათასი იენი გადაიხადა. მისი თქმით, ის მოსწავლეებისთვის ყოველწლიური სასკოლო ფესტივალის დროს მათ მიყიდვას გეგმავდა. საქონლის რეალიზება მამაკაცმა ვერ მოახერხა, ამიტომ მან ისინი კარადაში მომდევნო ფესტივალამდე გადაინახა.

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით, მასწავლებელს სამი თვით აეკრძალა მუშაობა.

# ბიჭმა სიმაღლეში 224 სანტიმეტრს მიაღწია და კალათბურთელი გახდა



ბრენდონ მარშალმა ბრიტანეთის სუფოლკის საგრაფოს ქალაქ ბარი-სენტ-ედმუნდსიდან, რომელიც დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალ მოზარდად ითვლება, უელსის ეროვნულ საკალათბურთო გუნდში დაიწყო ვარჯიში.

ბრენდონმა სიმაღლეში სწრაფად ზრდა ცხრა წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დაიწყო. 13 წლისა უკვე 183 სანტიმეტრი იყო სიმაღლეში. 2017 წელს მისმა სიმაღლემ 211 სანტიმეტრს მიაღწია. 16 წლის ასაკში ის უკვე 224 სანტიმეტრია და, სპეციალისტების აზრით, სიმაღლეში ზრდას აგრძელებს.

ბრენდონი ეროვნული ლიგის კალათბურთის გუნდში თამაშობდა, შემდეგ უელსის ეროვნულ საკალათბურთო გუნდში აიყვანეს, ახლახან კი ვარჯიშები დაეწყო თავისი პირველი პროფესიონალური მატჩისთვის მოსამზადებლად, რომელიც ერთი თვის შემდეგ ლიტვაში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ უჩვეულო სიმაღლე ბრენდონს უამრავ პრობლემასაც უქმნის. მისთვის საკმაოდ რთულია შესაფერისი ტანსაცმლისა და განსაკუთრებით ფეხსაცმლის მოძებნა. მისი ფეხის ზომა 17 ბრიტანულია, რაც დაახლოებით ევროპულ 52 ზომას შეესატყვისება.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ყველაზე მაღალ მოზარდად ამერიკელი ბროკ ბრაუნი ითვლებოდა, რომლის სიმაღლე 234 სანტიმეტრს შეადგენდა. მან ეს ტიტული გასულ წელს დაკარგა, მას შემდეგ, როდესაც 20 წლის შესრულდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ინდოელმა შვილს პორნოს გამო ხელი მოაჭრა




ინდოეთში მამამ შვილს ხელის მტევანი პორნოს გადამეტებული სიყვარულის გამო მოაჭრა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ქვეყნის სამხრეთში მდებარე ტელანგანას შტატის ქალაქ ჰაიდარაბადში მოხდა. 45 წლის ყასაბმა მუჰამედ კაიიმ კურეშიმ თავის 18 წლის შვილ ხალედს მობილური ტელეფონით პორნო ფილმის ყურების დროს მიუსწრო. პოლიციის მონაცემებით, ყმაწვილმა სმარტფონი ახლახან შეიძინა და მას შემდეგ პორნოგრაფიის ყურებამ გაიტაცა, მიუხედავად იმისა, რომ მამა ამას სასტიკად უკრძალავდა.

კურეში შეეცადა შვილისთვის ტელეფონი წაერთმია, მაგრამ მან წინააღმდეგობა გაუწია და მამას ხელზეც კი უკბინა. ამის შემდეგ ხალედი სახლიდან წავიდა და განაცხადა, რომ აღარ დაბრუნდებოდა. თუმცა იმავე საღამოს დაბრუნდა სახლში ღამის გასათევად. მამა-შვილის ჩხუბი დილიდანვე განახლდა. ჩხუბის დროს მამამ დანას დასტაცა ხელი და დაუმორჩილებელ შვილს მარჯვენა ხელის მტევანი მოაჭრა. ახალგაზრდის ყვირილზე ოჯახის დანარჩენმა წევრებმა მოირბინეს და ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა კიდურის აღდგენის შანსი უკიდურესად მცირედ მიიჩნიეს.

ბიჭის მამა პოლიციამ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრა.

# სკანვორდი



1. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 2. ღრმა, ვიწრო ხეობა; 3. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი; 4. სახოტბო ლექსი; 5. ტაბლეტი; 6. ბატონო (ინგლისურად); 7. რისამე დამსახურების ნიშნად გაცემული საბუთი; 8. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 9. ფულის მისაღები თამასუქი; 10. ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 11. თოვლის ჯიქი; 12. მეფის ტიტული მონღოლეთში (ძვ.); 13. ნოტი; 14. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 15. ერთგვარი მაწონი; 16. გერმანული ავტომობილი; 17. ურჩხული; 18. ჩაზელილი, შეზავებული კარტოფილი; 19. კედლისა და იატაკის გამყოფი თამასა; 20. გნოლის ბარტყი; 21. მხარე, მიდამო; 22. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 23. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში; 24. დედალი ფუტკრის საჩხვლეტი ორგანო; 25. უგონო მდგომარეობა; 26. თხევადი ნივთიერება; 27. მიზანში ზუსტად მსროლელი; 28. სახელმწიფო ევროპაში; 29. ნული; 30. დიდი, ძვირფასმერქნიანი ხე; 31. თავადზე დაბლა მდგომი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ანდერძი; 2. პლანეტა; 3. ჩიხთიკოპი; 4. ახმეტა; 5. პლაზმა; 9. ქაირო; 10. პლანიცა; 14. ტერფსიხორა; 15. ტექტონიკა; 16. სადაფი; 19. „კასტელი“; 20. „კაპორი“; 21. ხარება.

**თარაზულად:** 6. ინდულგენცია; 7. ურთხელი; 8. სევანი; 11. ფანტომი; 12. შტილი; 13. გომბორი; 17. რევოკაცია; 18. სკაფანდრი; 22. კაქტუსი; 23. ფრაქცია; 24. ღლიღვები; 25. გაგარინი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „ყაზბეგი“; 2. პრუდონი; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. ავლაბარი; 7. სკა; 11. თეატრი; 15. კვაზარი; 16. ხამონი; 17. სევრი; 18. „სტელა“; 20. შაშვი; 22. ლუდი.

**თარაზულად:** 6. აპნისი; 8. კრიტიკა; 9. კამვოლი; 10. ბაღდათი; 12. მაჩვი; 13. ალიბი; 14. კარაბინი; 19. „ოჯალეში“; 21. ლევილი; 23. ტოლმა; 24. არენდა; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

# 24 წლის ლაშა სამჭკუაშვილმა გადაცემაში „ცოდნა ფულია“ 25 ათასი ლარი მოიგო




24 წლის ექთანმა ლაშა სამჭკუაშვილმა გადაცემაში „ცოდნა ფულია“ უმაღლესი ფულადი პრიზი, 25 ათასი ლარი მოიგო.

მოთამაშემ ყველა ეტაპი წარმატებით გადალახა და სწორი პასუხიც გასცა მთავარ შეკითხვას, რომელიც ასე ჟღერდა:

– ოპიორფინი არის მორფინზე რამდენჯერმე ძლიერმოქმედი ნივთიერება, რომელიც პირველად გამოყვეს ადამიანის:

ა) ცრემლიდან; ბე) ლიმფიდან; ცე) ნერწყვიდან; დე) ლიქვორიდან.

ლაშა სამჭკუაშვილმა სწორ პასუხად ცე ვარიანტი დააფიქსირა და პროექტის გამარჯვებული გახდა.

# ავთო მახარაძე სცენას ერთი დღით დაუბრუნდება



მსახიობი ავთო მახარაძე 25-წლიანი პაუზის შემდეგ სცენას ერთი დღით დაუბრუნდება და სტუდენტებისთვის მასტერკლასს გამართავს.

თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძის ინიციატივითა და ორგანიზებით, „შეხვედრები თეატრალურში“ ციკლის ფარგლებში, სტუდენტებს უნიკალური შესაძლებლობა მიეცემათ.

15 მარტს დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში მსახიობი, რომელიც ასე მიუწვდომელია ყველასთვის, პირველად 25-წლიანი პაუზის შემდეგ სცენაზე ავა და სტუდენტებისთვის მასტერკლასს ჩაატარებს.

**ნიკოლოზ წულუკიძე:**

– მასტერკლასი ჩატარდება მხოლოდ სტუდენტებისთვის.

პ.ს. მადლობა მას ნდობისთვის...

პ.ს.ს. იმედია, ამ შანსს არცერთი ჩემი სტუდენტი არ გაუშვებთ ხელიდან.

# ყვარელში კოშკი ჩამოინგრა




კახეთში, ქალაქ ყვარელში, კოშკი ჩამოინგრა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ისტორიული მნიშვნელობის კოშკი ინგრევა. გასულ წელს სვანეთში უძველესი კოშკი ჩამოინგრა.

როგორც ადგილობრივებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, კოშკი მათთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან კოშკის ქონგურის ჩამონგრევის შემდეგ არსებობს საფრთხე, რომ შენობა მთლიანად დაინგრეს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ქალაქ ყვარელში 2 დღის წინ ჩამოშლილი კოშკის რესტავრაციას ისინი უახლოეს დროში უზრუნველყოფენ.

– სახელმწიფო უწყების ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, რომლებმაც საფორტიფიკაციო ნაგებობაზე სათანადო ანაზომები უკვე აიღეს, არქიტექტორ-რესტავრატორები უმოკლეს დროში მოამზადებენ აღდგენითი სამუშაოებისთვის საჭირო პროექტს. ფიზიკური სამუშაოები კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მომდევნო კვირას დაიწყება და, სავარაუდოდ, მიმდინარე თვეშივე დასრულდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ქუჩის ბიჭები კონცერტის ორგანიზატორმა გადააგდო



ჯგუფი ქუჩის ბიჭები რესტორან „ყირამალაში“ კონცერტის ორგანიზატორმა გადააგდო, რამაც დაგეგმილი ღონისძიების ჩაშლა გამოიწვია.

მომღერლები მომხდარში რესტორნის ივენთმენეჯერს ადანაშაულებენ. ინციდენტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ჯგუფის გვერდმა გაავრცელა:

– რესტორან „ყირამალას“ ივენთმენეჯერმა, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ საღამო, სადაც ყველა ბილეთი გაყიდული იყო, არსებული შეთანხმება დაარღვია.

აღნიშნულმა პრობლემამ გამოიწვია კონცერტის ჩაშლა. ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს ივენთმენეჯერს. ჩვენი მხრიდან იყო სრული მზაობა, რომ გაგვემართა კონცერტი, თუმცა ივენთმენეჯერმა შეთანხმება დაარღვია.

სამწუხაროა, რომ მსგავსი ფაქტები მომრავლდა საქართველოში და ეს აზიანებს მომღერლისა და მსმენელის უფლებას. სამწუხაროა ის, რომ ვენდეთ სიტყვიერ შეთანხმებას და არ გავაფორმეთ კონტრაქტი. მსგავსი რამ ჯგუფის მხრიდან აღარ განმეორდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბრალი არაფერში მიგვიძღვის, ბოდიშს ვიხდით მსმენელის წინაშე.

# თეონა კონტრიძე რუსეთ-საქართველოს სავიზო რეჟიმის ცალმხრივობას აპროტესტებს



მომღერალი თეონა კონტრიძე, რომელიც წლებია რუსეთში ცხოვრობს და რუსი მეუღლე ჰყავს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ცალმხრივი სავიზო რეჟიმით უკმაყოფილოა.

**თეონა კონტრიძე:**

– იცით თუ არა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს სავიზო რეჟიმი, თანაც ცალმხრივი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ ვიზა რუსეთში შემოსასვლელად. ამ ვიზის მიღება, უახლოესი ნათესავების არსებობის შემთხვევაში, არარეალურია, უბრალოდ, უარს გეუბნებიან.

თუკი არ ხარ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი ან დიპლომატი, ამ ვიზის მიღება არარეალურია. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები რომ საქართველოში გაემგზავრონ, ისიამოვნონ პეიზაჟებით, ღვინითა და მეგობრებით, მათ ვიზა არ სჭირდებათ. მითხარით, არის თუ არა ეს სამართლიანი, თქვენი მოსაზრებით და შეიძლება თუ არა, ამას მეგობრობა ვუწოდოთ?

# თენგიზ არჩვაძეს თავადის წოდება მიანიჭეს




ქართული კინოსა და თეატრის მსახიობ თენგიზ არჩვაძეს თავადის წოდება მიანიჭეს.

ტიტული მსახიობს საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონმა მარჯანიშვილის თეატრში გადასცა.

საქართველოს სამეფო სახლის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია:

– ქართველი ხალხის უსაყვარლეს მსახიობს, საქართველოს ცოცხალ ლეგენდას, თენგიზ არჩვაძეს, ბატონიშვილმა ნუგზარმა თავადის წოდება უბოძა. ამით საქართველოს სამეფო ოჯახმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა მის, როგორც ულირსეულესი პიროვნებისა და არაჩვეულებრივი მსახიობის მიმართ. ვულოცავთ ბატონ თენგიზს წოდების მინიჭებას, ღმერთმა ჯანმრთელად გვიმყოფოს იგი დიდხანს.

თენგიზ არჩვაძის პრემიებსა და წოდებებს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას, სსრკ სახელმწიფო პრემიას, საქართველოს სახალხო არტისტისა და საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებას თავადის წოდებაც მიემატა.

# შავ ზღვაში ამფორის ფრაგმენტები აღმოაჩინეს



შავ ზღვაში თევზსაჭერი სეინერის მეპატრონე რევაზ ბერაიამ უნიკალური ნივთი, ამფორის ფრაგმენტები, აღმოაჩინა. შემთხვევა ფოთში მოხდა. რევაზ ბერაიამ აღმოჩენილი მასალა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა.

როგორც სეინერის მეპატრონემ განაცხადა, უნიკალური ნივთი მან თევზჭერის დროს შემთხვევით აღმოაჩინა. მუზეუმის დირექტორმა ელენე გაბლიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღმოჩენილი არტეფაქტი, სავარაუდოდ, ანტიკური პერიოდისაა:

– ამფორის ფრაგმენტები ერთ-ერთი თევზსაჭერი სეინერის მეპატრონემ შავი ზღვის აკვატორიის გრიგოლეთის მონაკვეთზე, 74-80 მეტრ სიღრმეში აღმოაჩინა. ეს ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აქ მსგავს ნივთებს მეთევზეები ხშირად პოულობენ და ბათუმში გადააქვთ ან სახლში იტოვებენ. თხოვნით მივმართავ ყველას, ანალოგიური ნივთის პოვნის შემთხვევაში, აუცილებლად მიმართონ ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმს.

# ტყვიაგაუმტარჟილეტიანი ტეხასელი გასროლას ემსხვერპლა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის მცხოვრებმა ჯეისონ გრიფინმა შემთხვევით მოკლა ახლობელი, რომელმაც ტანზე ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მოირგო.

მამაკაცი დაკავებულია. მას წინასწარგანზრახვის გარეშე მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და იარაღით სერიოზული დანაშაულის ჩადენის ბრალდება აქვს წაყენებული.

საღამოს წვეულების დროს გრიფინის ახლობელმა ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ჩაიცვა და სთხოვა, რომ მისი მიმართულებით გაესროლა. მან პისტოლეტი ამოიღო და ახლობლის თხოვნა დააკმაყოფილა. მისი მეგობარი გოგონას თქმით, რომელიც შემთხვევას შეესწრო, მან არ იცოდა, რომ იარაღი დატენილი იყო.

ტყვია გრიფინის ახლობელს მკერდში მოხვდა. მან დაიყვირა, რომ ეტკინა და წაიქცა. გრიფინმა მას ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მოხსნა და შეეცადა დახმარებოდა, მაგრამ როდესაც არაფერი გამოუვიდა, გაიქცა. მოგვიანებით ის დაბრუნდა და პოლიციას ჩაბარდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

კალეიდოსკოპი

# თოვლის კაცების არმიამ თოვლის ქალი დაასაფლავა




დიდი ბრიტანეთის ქალაქ გეიტსჰედის მცხოვრებლებმა 40-ზე მეტი თოვლის კაცი გამოძერწეს მას შემდეგ, რაც ვანდალებმა ერთ-ერთ ავტობუსის გაჩერებაზე დადგმული „თოვლის ბებია“ დაამტვრიეს.

თოვლისგან ბებიის ფიგურა ადგილობრივმა რეიჩელ ბელმა თავისი ქალიშვილისთვის დაამზადა. ქანდაკების თავს იასამნისფერი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული, ხელში საოჯახო ჩანთა ეჭირა. ბელმა საკუთარ ნამოღვაწარს ბრენდა დაარქვა. როდესაც ღამით „ბებია“ დაამტვრიეს, მან ამის ამსახველი ფოტოსურათები სოციალურ ქსელში გააზიარა.

ფეისბუქისა და ტვიტერის მომხმარებლები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ მომხდარს და უამრავი კომენტარი დატოვეს. ქალმა გადაწყვიტა, ქალაქში თოვლის კაცების მთელი არმია შეექმნა. შემდეგ ამ საქმიანობაში მისი მეზობლები და სხვა მოქალაქეებიც ჩაერთვნენ, რომლებიც მომხდარის მიმართ გულგრილნი არ დარჩენილან. ყველა თოვლის ფიგურას იასამნისფერი ყელსახვევი ეკეთა. მოქალაქეებმა ასევე ბრენდას იმპროვიზებული დასაფლავება მოაწყვეს, ააგეს სასაფლაოს გორაკი და მის გარშემო თოვლის კაცები ჩაამწკრივეს. ავტობუსის გაჩერებაზე კი გაჩნდა პლაკატები „ბრენდას მკვლელის“ გასამართლების მოთხოვნით.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.4462

ევრო — 3.0088

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3780

100 რუსული რუბლი — 4.2920

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის








6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

8 მარტიდან

60 ამბავი უცხოეთში დაკარგული ქართველები




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი მსოფლიო მონარქები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი



კაცი ექიმთან მივიდა. ექიმი ეუბნება:

– დაბრძანდით... აბა, მოყევით, რისთვის ხართ მოსული..

– ექიმო, იცით, რაშია საქმე? ბევრს ვლაპარაკობ, მაგრამ რატომღაც ყველა მეკითხება, ჩუმად რატომ ვარ. არადა, ხომ ვიცი, რომ ვლაპარაკობდი. აი, მაგალითად, ახლახან ქორწილში ვიყავი. თამადამ ნეფე-პატარძალი ადღეგრძელა. სხვებმაც ადღეგრძელეს. ჩემი რიგი რომ მოვიდა, ავდექი და ვადღეგრძელე, ყოველივე კარგი ვუსურვე, გამრავლება, ბედნიერება, მერე დავლიე და დავჯექი. ამ დროს თამადის მოადგილე მოვიდა და მეუბნება: „შენ რა, სულ გამოშტერდი? ადექი, სიტყვის უთქმელად დალიე და დაჯექი!“ ექიმო, როგორ მოვიქცე, რა მეშველება?

– აბა, დიდხანს გელოდოთ? მეტყვით, რისთვის მოხვედით?

•••

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის შენი ოჯახური ცხოვრება?

– ერთფეროვნად, არაფერი ახალი. ქმარი ზედაც აღარ მიყურებს.

– შენც ადექი და შავი ტყავის საცვლებში გამოწყობილი დახვდი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლითა და სახეზე ტყავის ნიღბით.

ორი დღის შემდეგ დაქალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ისევ ეკითხება:

– აბა, რა ქენი, მოიქეცი ისე, როგორც დაგარიგე?

– კი, ჩავიცვი შავი ტყავის საცვლები, სექსუალური წინდები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და სახეზე ნიღაბი გავიკეთე.

– მერე?

– სამსახურიდან მოსულს კარი რომ გავუღე, გულდასმით შემათვალიერა და მეკითხება: „რა, ბეტმენი გვეყოლება სტუმრად?“

•••

რუსს ეკითხებიან:

– გუშინ, 8 მარტს, შენს შეყვარებულს რით გაუმასპინძლდი?

– წითელი თევზით.

– ორაგულით?

– არა, კილკით, ტომატში.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რა მოხდა? წუხელ ღამით ძილში დედას რატომ მაგინებდი?

– არ მეძინა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## წვიმებმა ტურისტული ბილიკი ოკეანორიუმად აქცია



ბრაზილიაში ტურისტული ბილიკი წვიმების შედეგად დაიტბორა და ის ოკეანორიუმს დაემსგავსა. ვიდეომ, რომელზეც უჩვეულო ბუნებრივი მოვლენაა ასახული, მედიის ყურადღება მიიპყრო.

ვიდეორგოლი წყალგაუმტარი კამერით ტურისტებმა გადაიღეს „ბუნებრივი მდინარეების პარკში“ ექსკურსიის დროს. დამთვალიერებლებს შესაძლებლობა მიეცათ, დამტკბარიყვნენ თევზების მრავალფეროვნებით, რომლებიც წყალქვეშ აღმოჩენილ ტროპიკულ მცენარეებს შორის დაცურავდნენ. როგორც პარკის თანამშრომლები განმარტავენ, წყალი სისუფთავესა და გამჭვირვალობას მასში მინერალებისა და კალციუმის კარბონატის მაღალი შემცველობის წყალობით ინარჩუნებს.

წვიმების გამო წყლის დონემ მდინარეებში რიო-და-პრატასა და ოლჰო-დ’აგუაში სამი მეტრით აიწია და ამ ნიშნულს ორი დღის განმავლობაში ინარჩუნებდა.

## ქარმა ეიფელის კოშკის ჩინური ასლი გაიტაცა



ჩინეთის ცზიანსის ქალაქ ნანიჩანში ქარმა სავაჭრო ცენტრის წინ აღმართული ეიფელის კოშკის ასლი გაიტაცა.

ვიდეოზე, რომელიც მომხდარის თვითმხილველმა გადაიღო, ნაგებობა ქარის ზეწოლის შედეგად მოედანზე გადაადგილდება და თან ღობესა და მავთულებს მიათრევს. კოშკის ზუსტი სიმაღლე არ სახელდება, თუმცა ჩანს, რომ ის გარშემო მდგარ ხეებზე მაღალია. გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად მისი ზომებისა, კონსტრუქცია მიწაზე დამაგრებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ქარმა, რომლის სიმძლავრეც ქარიშხლისას უახლოვდებოდა, ასევე სახურავი გადახადა ნანიჩანის საერთაშორისო აეროპორტს, რომელიც ქალაქიდან 28 კილომეტრით არის დაშორებული.

## ბრედ პიტმა სექსზე უარი თქვა



ჰოლივუდის მსახიობმა ბრედ პიტმა ანჯელინა ჯოლისთან დაშორების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ერთი წლით თავი შეიკავოს სექსისგან. ის აპირებს, მთელი ყურადღება ტელევიზიაში ყოველდღიურ სამუშაოზე, ვარჯიშებსა და მედიტაციაზე გადაიტანოს, რათა უფრო ადვილად შეეგუოს განქორწინებას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 54 წლის მსახიობი კარგად იკვებება და სპირტიან სასმელებს აღარ მოიხმარს.

– ის მთელი ცხოვრება თითქმის მუდმივად სასოწარკვეთილი იყო. ახლა კი, როდესაც მარტოა, აკეთებს იმას, რის გაკეთებასაც ადრე ვერ ახერხებდა, – განაცხადა ერთ-ერთმა მსახიობთან დაახლოებულმა პირმა.

## ღამის კლუბის საცეკვაო მოედანზე გამოჩენილი ცხენი პანიკამ მოიცვა



ამერიკის ქალაქ მაიამი-ბიჩის ღამის კლუბი მას შემდეგ დახურეს, რაც საცეკვაო მოედანზე ცხენზე ამხედრებული, ბიკინიში გამოწყობილი გოგონა გამოვიდა. ცხოველი ადამიანების სიმრავლემ შეაშინა და პანიკაში ჩავარდა.

მას შემდეგ, რაც ამის ამსახველი ვიდეო ტვიტერში გამოჩნდა, სოციალური ქსელის მომხმარებლები ცხოველის მიმართ დამოკიდებულებამ აღაშფოთა და მათ კლუბის დახურვის მოთხოვნით პეტიცია შეადგინეს. ამ ინიციატივას მხარი სამი ათასზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა. მოგვიანებით ქალაქის ადმინისტრაციამ ღამის კლუბისთვის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე განცხადება გააკეთა.

მაიამი-ბიჩის სიტი-მენეჯერმა ჯიმ მორალესმა განაცხადა, რომ დაწესებულების დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო, როგორც კი მომხდარის შესახებ შეიტყო. ბრძანების თანახმად, ინციდენტი შეფასდა, როგორც საფრთხის შემცველი ადამიანების მიმართ და ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობა.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად ცხენი ჯანმრთელად და უსაფრთხოდაა, ხოლო კლუბის მფლობელის მიმართ საქმე აღიძრა ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 5. მიკრობის სახეობა; 6. ტემპერატურის საზომი ერთეული; 8. მდინარის თევზი; 10. ასპარეზი; 11. ლექსის ნაწილი; 13. ასპილის დაფაზე საწერი ფიქლის ჩხირი; 16. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ფეხსაცმელი; 18. ვერცხლისფერი ლითონი; 19. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 21. გოეთეს დრამა; 22. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარე; 23. მაღაზია.

**შვეულად:** 1. უეცარი ძლიერი ქარი; 2. ცურვის სტილი; 3. მაგარი კანფეტი; 4. მამლის ხმიანობა; 7. მწვერვალი სვანეთში; 9. რისამე გავრცელების არე; 12. საერთო-სახალხო კენჭისყრა; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. ქართული ხალხური ოთხსიმიანი საკრავი; 17. დიდი გოჭი (სამი თვიდან ერთ წლამდე); 20. ფულად-საკრედიტო დაწესებულება.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

